

საქართველოში მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის მესამე ტრანშის
(აზიის განვითარების ბანკის სესხი 3063)
გამოსასწორებელი აქტივობების შესრულების
ყოველწლიური მონიტორინგის მეორე ანგარიში დირექტორთა საბჭოს

11 ნოემბერი 2019

წინამდებარე დოკუმენტის გასაჯაროება ხდება აზიის განვითარების ბანკის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შესაბამისად.

წინასიტყვაობა

შესაბამისობის ანალიზის პანელი მადლობას უხდის ყველას ვინც წვლილი შეიტანა მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის მესამე ტრანშის ყოველწლიური მონიტორინგის მეორე ანგარიშის მომზადებაში, კერძოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, მათ შორის პროექტის კონსულტანტებს, მომჩივან პირებს და მწვანე ალტერნატივას პროექტის საიტ ვიზიტის დროს გაწეული თანამშრომლობისთვის, ასევე აზიის განვითარების ბანკის (ADB) დირექტორთა საბჭოს, კერძოდ შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის წევრებს, ABD-ის მენეჯმენტსა და თანამშრომლებს.

აბრევიატურები

ADB	– აზიის განვითარების ბანკი
BCRC	– შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭო
CRP	– შესაბამისობის ანალიზის პანელი
Km	– კილომეტრი
km/h	– კილომეტრი საათში
IEE	– პირველადი გარემოსდაცვითი შეფასება
MDF	– საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MFF	– მრავალტრანშული დაფინანსების ინსტრუმენტი
RAP	– გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმა
RAP-FS	– გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმა - საბოლოო გადაწყვეტა
SPS	– უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადება
SSEMP	– საიტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
TRURL	– თბილისი-რუსთავის ურბანული დამაკავშირებელი გზა

შენიშვნა

წინამდებარე ანგარიშში “\$” ნიშნავს აშშ დოლარს.

ნებისმიერი ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადების პროცესში, ან პროექტის დაფინანსებისას, ან წინამდებარე დოკუმენტში რაიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე ან გეოგრაფიულ არეალზე მინიშნებისა თუ მისი მოხსენიებისას, აზიის განვითარების ბანკი არ ისახავს მიზნად გააკეთოს რაიმე შეფასება ტერიტორიის ან არეალის ლეგალური ან სხვა სტატუსის შესახებ.

სარჩევი

I. შესავალი	1
II. პროექტის აღწერილობა	3
III. შესაბამისობის ანალიზი და გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმა	4
IV. გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმის მეორე ყოველწლიური მონიტორინგის შედეგები	6
ა. ხმაურის ზემოქმედება	8
ბ. ვიბრაციის ზემოქმედება	12
გ. მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედება	15
დ. ზემოქმედება მდინარის ეკოლოგიაზე	18
ე. კონსულტაციები	22
ვ. პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიზაცია	24
VI. დასკვნა	25
მენეჯმენტის ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმა	29
შეთავაზებული სამოქმედო გეგმა	35
აქტივობების განრიგი	39
სამოქმედო გეგმის ხარჯთაღრიცხვა	40
CRP-ის კომენტარები გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით	42
შეთავაზებული სამოქმედო გეგმა	47
ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტა	54
ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის სტატუსი	63
მონიტორინგის პერიოდში შეხვედრილ პირთა სია	66

I. შესავალი

1. წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში ეხება აზიის განვითარების ბანკის (ABD) ანგარიშვალდებულების მექანიზმის შესაბამისობის ანალიზის პანელის (CRP) მიერ, სესხის 3063: საქართველოში მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (მესამე ტრანში) (პროექტი) ფარგლებში მიღებული ოთხი საჩივრიდან სამს.¹ საჩივრები შეეხება პირველ ქვე-პროექტს: თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი ურბანული გზის (მეორე მონაკვეთი) პროექტი, რომელიც გულისხმობს არსებული გზის მოდერნიზებასა და ახალი გზის მშენებლობას ფონიჭალიდან რუსთავამდე. პირველი სამი საჩივარი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშის საგანს ეხება გარემოსდაცვით პრობლემებს პირველი ქვე-პროექტის ფარგლებში, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

2. პირველი საჩივარი CRP-ის მიერ მიღებულ იქნა 2016 წლის 14 მარტს, 12 ვ/გ 9 სართულიანი კორპუსის 81 მაცხოვრებლისგან. მეორე საჩივარი CRP-ის მიერ მიღებულ იქნა 2016 წლის 10 ნოემბერს, 16 ა/ბ კორპუსის 72 მაცხოვრებლისგან. CRP-ის მიერ მესამე საჩივარი მიღებულ იქნა 2018 წლის 21 ივნისს, 28ა 5 სართულიანი კორპუსის 30 მაცხოვრებლისგან. სამივე მომჩივანთა ჯგუფი ცხოვრობს ფონიჭალის უბანში განთავსებულ საცხოვრებელ კორპუსებში, რუსთავის გზატკეცილზე, თბილისში, სადაც უნდა მოხდეს 6.8 კილომეტრიანი გზის მშენებლობა. ADB-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMP) საფუძველზე, CRP-ის მიერ მოხდა თითოეული საჩივრის შეფასება, შესაბამისობის ანალიზის მანდატის ფარგლებში და შესაბამისად ყველა მათგანი შეფასებულ იქნა დასაშვებად. თუმცა, საჩივრის წარდგენის დროის გათვალისწინებით, შესაბამისობის ანალიზის ჩატარება მოხდა პირველი საჩივრის საფუძველზე. CRP-მა დასაშვებად არ მიიჩნია მეორე საჩივარი და საბჭოსგან არ მოითხოვა უფლება ჩატარებინა ცალკე შესაბამისობის ანალიზი, რადგან უკვე ჩატარებული იყო პირველი საჩივრის ანალიზი. ამასთანავე, მომჩივანთა მეორე ჯგუფის მიერ დასმული პრობლემები, იმავე ტიპის იყო რაც პირველ საჩივარში დასმული პრობლემური საკითხები და ნებისმიერ შემთხვევაში მენეჯმენტის მიერ მისი განხილვა უნდა მოხდეს მენეჯმენტის მიერ, როგორც პირველი საჩივრის შესაბამისობის ანალიზთან დაკავშირებული გამოსასწორებელი აქტივობების ნაწილი. მესამე საჩივარში დასმული საკითხები იმავე ტიპის იყო რაც პირველ და მეორე საჩივარში, გარდა ვიზრაციის ზემოქმედების შეფასება 28ა კორპუსისთვის. CRP-ის მიერ საჩივრის მიღება მოხდება საბჭოს მიერ დამტკიცებული გამოსასწორებელი აქტივობების ([RAP]² მათ შორის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმა - საბოლოო გადაწყვეტა [RAP-FS]³) განხორციელების პირველ ეტაპზე. CRP-იმ აღნიშნული მხედველობაში მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ საჩივარი არ იყო დასაშვები (ანუ 28ა კორპუსის ვიზრაციის ზემოქმედების შეფასება) და აღნიშნული სავარაუდოდ გავლენას იქონიებდა მესამე ჯგუფის მომჩივანებზე,

¹ საქართველო: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 3, პროექტის ვებ გვერდი <https://www.adb.org/projects/42414-043/main>

² საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმა [https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20\(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review\)_3May2018.pdf/\\$FILE/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20\(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review\)_3May2018.pdf](https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review)_3May2018.pdf/$FILE/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review)_3May2018.pdf)

³ ADB. ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი. სესხი 3063-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის მესამე ტრანშის ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტა. აპრილი 2018. ხელმისაწვდომია [https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20\(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review\)_3May2018.pdf/\\$FILE/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20\(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review\)_3May2018.pdf](https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review)_3May2018.pdf/$FILE/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review)_3May2018.pdf)

ახალი მტკიცებულება არ იყო საკმარისად სერიოზული იმისათვის, რომ მომხდარიყო ახალი შესაბამისობის ანალიზის ჩატარება. ამასთან, პროექტის გამოსასწორებელი აქტივობები საკმარისად პასუხობდა სამივე საჩივარში დასმულ პრობლემურ საკითხებს, რადგან ისინი შეეხება მთლიან პროექტს.

3. იმისათვის, რომ ქეისი სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი, CRP-მა დაამატა ასევე მეოთხე საჩივარი, რომელიც მის მიერ მიღებულ იქნა 2018 წლის 11 ოქტომბერს, მარნეულის ქუჩაზე (რუსთავის გზატკეცილი, თბილისი) მდებარე ოთხი საცხოვრებელი კორპუსის 18 მაცხოვრებლისგან. აღნიშნული მეოთხე საჩივარი განსხვავდებოდა წინა სამი საჩივრისგან, რადგან მომჩივანთა მოთხოვნა იყო განსახლების კომპენსაცია. CRP-მა ჩაატარა დასაშვებობის განსაზღვრის პროცედურა და დაასკვნა რომ იმ ეტაპისთვის საჩივარი არ იყო დასაშვები, რადგან მომჩივანმა პირებმა და ADB-ის მენეჯმენტმა გამოხატეს სურვილი ძალისხმევა მიემართათ საჩივარში დასმული პრობლემური საკითხების გადაწყვეტისაკენ.

4. სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული მოითხოვს ხმაურისა და ვიბრაციის დამატებითი კვლევის ჩატარებას და შემდგომ კონსულტაციებს დაზარალებულ პირებთან, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მხედველობადაქვეითებულ პირებთან, რათა მოხდეს შეუსაბამობის საკითხების განხილვა, რომელიც განსაზღვრულ იქნა CRP-ის მიერ პროექტის შესაბამისობის საბოლოო ანგარიშში. 2018 წლის აპრილში, RAP-ის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად, ADB-ის მენეჯმენტმა CRP-ის მეშვეობით BCRC-ს შესაფასებლად წარუდგინა მის მიერ განსაზღვრული გადაწყვეტილებები და ღონისძიებები. CRP-ისა და BCRC-ის კომენტარების გათვალისწინებით, განსაზღვრული გადაწყვეტები შეტანილ იქნა განახლებულ RAP-ში, RAP-FS-ის სახით. RAP, RAP-FS-ის ჩათვლით გახდა CRP-ის შემდგომი ყოველწლიური მონიტორინგის საფუძველი.

5. 2018 წლის ივლისში, CRP-იმ ჩაატარა RAP-ის, მათ შორის RAP-FS-ს იმპლემენტაციის პირველი ყოველწლიური მონიტორინგი, მომჩივანთა მხოლოდ პირველი და მეორე ჯგუფის საჩივრის გათვალისწინებით. მოცემული მომენტისთვის მიმდინარეობდა მესამე საჩივრის დასაშვებობის განსაზღვრა.

6. მეორე ყოველწლიური მონიტორინგის წინამდებარე ანგარიში ეხება იმ ღონისძიებებს, რომელიც გატარებულ იქნა სამივე საჩივართან მიმართებაში. AMP-ის 192-ე პარაგრაფის შესაბამისად, CRP-იმ მოახდინა ADB-ის მენეჯმენტისა და თანამშრომლების მიერ საბჭოს მიერ დამტკიცებულია RAP-ის, მათ შორის RAP-FS-ის იმპლემენტაციის მონიტორინგი. მეორე ყოველწლიური მონიტორინგის წინამდებარე ანგარიში აღწერს და აფასებს ABD-ის მენეჯმენტის მიერ RAP-ის, მათ შორის RAP-ის საბოლოო გადაწყვეტის⁴ იმპლემენტაციის კუთხით არსებულ პროგრესს, რომელიც ADB-ის მენეჯმენტის მიერ 2018 წლის აპრილში იქნა წარდგენილი BCRC-თვის, CRP-ისა და BCRC-ის კომენტარებთან ერთად, რომელიც წარმოადგენს საბჭოს მიერ 2017 წლის ივნისში დამტკიცებული RAP-ის ნაწილს. თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული საბჭოს მიერ, CRP მოახდენს გამოსასწორებელი

⁴ ADB. ADB. ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი. სესხი 3063-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის მესამე ტრანშის ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტა. აპრილი 2018. ხელმისაწვდომია [https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20\(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review\)_3May2018.pdf/\\$FILE/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20\(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review\)_3May2018.pdf](https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review)_3May2018.pdf/$FILE/GEO-SUTIP3-RAP-Final%20Solutions%20(Post%20CRP%20and%20BCRC%20Review)_3May2018.pdf)

აქტივობების იმპლემენტაციის ყოველწლიურ მონიტორინგს RAP-თან დაკავშირებით საბჭოს გადაწყვეტილებიდან 3 წლის განმავლობაში.

7. მეორე ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიში ეფუძნება CRP-ის მიერ პროექტის შესაბამისი დოკუმენტების, მათ შორის დამატებითი კვლევებისა და სხვა ანგარიშების შეფასებას; შეხვედრებს საქართველოს მთავრობის, კერძოდ აღმასრულებელი სააგენტოს (მუნიციპალური განვითარების ფონდი - MDF) წარმომადგენლებთან, მათ შორის პროექტის კონსულტანტებთან და კონტრაქტორებთან; შეხვედრებს მომჩივანთა სამივე ჯგუფთან და ADB-ის საპროექტო გუნდთან, მათ შორის საქართველოში ADB-ის მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლებთან. CRP-მ 2019 წლის 10-11 სექტემბერს ასევე ჩაატარა მონიტორინგის მისია, რომელიც მოიცავდა პროექტის საიტ ვიზიტს. მეორე ყოველწლიურ მონიტორინგის მისიას ხელმძღვანელობდა აჟაი დემჰანდე, CRP-ის წევრი, დინდინგ ტანგი, CRP-ის თავმჯდომარე და ჰანილა ვარდი, CRP-ის წევრი. CRP-ის მისიის წარმართვას ხელი შეუწყო ასევე შესაბამისობის ანალიზის პანელის შესაბამისობის ანალიზის უფროსმა ოფიცერმა ჟოზეფინა მირანდამ. მესამე დანართში წარმოდგენილია იმ ხალხთა სია, რომელთაც შეხვდა CRP მისის დროს.

II. პროექტის აღწერილობა

8. საჩივრები ეხება ქვე-პროექტს 1: თბილისი-რუსთავის ურბანული დამაკავშირებელი გზის (მეორე მონაკვეთი) პროექტს, რომელიც გულისხმობს ფონიჭალიდან რუსთავამდე არსებული გზის მოდერნიზებასა და ახლის მშენებლობას. მისი შემოთავაზებული სახით დასრულების შემთხვევაში, პროექტის გზის მთლიანი სიგრძე იქნება 6.8 კმ, ქედან 3.8 კმ იქნება მდინარე მტკვრის გასწვრივ აშენებული ახალი გზა. პროექტის დასრულების შემდეგ მივიღებთ საერთაშორისო სტანდარტის პირველი კატეგორიის, 4 ზოლიან მაგისტრალს, რომლის მაქსიმალური სიჩქარე იქნება 80 კმ საათში, მოსალოდნელია სიჩქარის შეზღუდვის შემცირება, ხმაურის ზემოქმედების შემცირების მიზნით.

9. პროექტი წარმოადგენს 2010-2020 წლებში განსახორციელებელი 1.1 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საინვესტიციო პროგრამის ნაწილის, რომლის მიზანია საქართველოში ურბანული ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და მდგრადობის გაუმჯობესება. აღნიშნული პროგრამის ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით, ADB-ის მიერ, 2010 წლის ივლისში გამოყოფილ და დამტკიცებულ იქნა მრავალ ტრანშული დაფინანსების ინსტრუმენტი (MFF), მაქსიმუმ 300 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. იგი მიმართულია: (i) ანაკლია, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, რუსთავი და თბილისის ურბანული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაფართოება, რეაბილიტაცია და გაუმჯობესებაზე; (ii) ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდაზე, მათ შორის თბილისის და სხვა მუნიციპალიტეტების და ურბანული სერვისების მიმწოდებლების რეორგანიზაციასა და რეფორმებზე და (iii) პროგრამის მართვის გუნდის შექმნაზე, რომელსაც გააჩნია შესაძლებლობა და ფინანსური რესურსები რათა შეიმუშაოს პროექტი, მისი ტექნიკური დიზაინი, მოამზადოს და განახორციელოს ტენდერები, შეაფასოს და გამოავლინოს მისი გამარჯვებულები, განახორციელოს კონტრაქტის განხორციელების ზედამხედველობა, მონიტორინგი და ანგარიშგება⁵ MFF-ის ფარგლებში

⁵ პროექტის მრავალტრანშული დაფინანსების ინსტრუმენტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.adb.org/projects/42414-013/main#project-pds>.

დაფინანსებული პროექტები უზრუნველყოფს სატრანსპორტო სისტემისა და ურბანული სივრცეების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. მესამე ტრანში მოიცავს ორ ქვე-პროექტს: (i) საერთაშორისო სტანდარტის თბილისი-რუსთავის ურბანული დამაკავშირებელი გზის (TRURL) მეორე მონაკვეთს (4.0-10.8 კმ) და (ii) ანაკლიის სანაპიროს განვითარების მეორე ფაზას.

10. პროექტი ფინანსდება MFF-ის მესამე ტრანშით, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2013 წლის 25 ნოემბერს. პროექტის საერთო ღირებულებაა 118.2 მილიონი აშშ დოლარი, აქედან 73 მილიონი აშშ დოლარი ADB-ის წინამდებარე ტრანშის დაფინანსებით. მსესხებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის პროექტის აღმასრულებელი სააგენტო. პროექტს, რომელსაც ახორციელებს აზიის განვითარების ბანკის სათაო ოფისი, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის ურბანული განვითარებისა და წყლის განყოფილების მეშვეობით, გააჩნია B კატეგორია გარემოზე ზემოქმედების კუთხით, A კატეგორია არა ნებაყოფლობითი განსახლების ზემოქმედების კუთხით და C კატეგორია ადგილობრივ ხალხებზე ზემოქმედების კუთხით. გზის მშენებლობა განხორციელების ეტაპზე, გარდა ფონიჭალის მონაკვეთისა, რაც განპირობებულია მოსახლეობის მხრიდან არსებული წინააღმდეგობით, გარდა მდინარის სანაპიროზე დამცავი კედლის მშენებლობისა. ვებ-გვერდის მიხედვით, გადასინჯული პროექტის დასრულების თარიღია 2020 წლის 18 ივლისი. პროექტის გარემოს შეფასების პირველადი (IEE) პროექტი შემუშავდა და განთავსდა ADB-ის ვებ-გვერდზე 2013 წლის სექტემბერში. მოხდა პირველადი IEE-ის გადასინჯვა, რადგან საჭირო გახდა ვიზრაციისა და ხმაურის ზემოქმედების შესწავლა. გადასინჯული IEE ADB-ის ვებგვერდზე განთავსდა 2015 წლის დეკემბერში. მეორე მონაკვეთის 6.8 კილომეტრიანი გზის მშენებლობა გულისხმობს 312 მიწის ნაკვეთის შესყიდვას 29.5 ჰექტარის მოცულობით, ასევე 692 შენობა-ნაგებობის დანგრევას (82 საცხოვრებელი სივრცე, 90 ინდუსტრიული და კომერციული სივრცე და 520 მცირე შენობა-ნაგებობა). ჯამში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 282 ოჯახი და 33 ბიზნესი. ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადების (SPS) თანახმად⁶, MFF-ის დამტკიცებამდე მოხდა მიწის შესყიდვისა და განსახლების ჩარჩოს (LARF) შემუშავება. შესაბამისად შემუშავდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP). თუმცა, რადგან პირველი სამი მომჩივანი ჯგუფის ქონება, არ არის მოთხოვნილი პროექტის მიერ, აღნიშნული მომჩივანი პირები არ არიან გათვალისწინებული LARP-ში.

III. შესაბამისობის ანალიზი და გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმა

11. წინამდებარე ნაწილში შეჯამებულია CRP-ის დასკვნები და მოსაზრებები, მის მიერ ჩატარებული შესაბამისობის ანალიზთან დაკავშირებით, ასევე მენეჯმენტის RAP-თან, მათ შორის RAP-FS-თან და CRP-ისა და BCRC-ის კომენტარებთან დაკავშირებით. ერთიანობაში, ეს ქმნის საფუძველს CRP-ის მიერ აქტივობების განხორციელების პროგრესის მონიტორინგისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის დაბრუნება ADB-ის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობაში.

⁶ ADB. 2009. *უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადება*. მანილა

12. შესაბამისობის ანალიზისას, CRP-იმ განიხილა პროექტის შესაბამისობა ADB-ის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან შემდეგ ასპექტებთან მიმართებაში, რომლებიც იყო ზემოქმედების ქვეშ პროექტის შემუშავებისა და დამტკიცებისას:

- (i) უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადება (2009);
- (ii) საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკა (2011);
- (iii) საოპერაციო სახელმძღვანელო (OM) ნაწილი F1 (უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადება) გამოცემული 2013 წლის პირველ ოქტომბერს;
- (iv) OM ნაწილი C3 (სოციალური ასპექტების გათვალისწინება ADB-ის ოპერაციებისას) გამოცემული 2010 წლის 6 დეკემბერს; და
- (v) OM ნაწილი L3 (საჯარო კომუნიკაციები) გამოცემული 2012 წლის 2 აპრილს

13. ფაქტების დადგენის შემდეგ, CRP-ის შესაბამისობის ანალიზის საბოლოო ანგარიშში⁷ აღნიშნულია, რომ აღმოჩენილია შეუსაბამობა ძირითადად SPS-ის გარემოსდაცვით მოთხოვნებთან:

- (i) პროექტი გამოიწვევს ხმაურის ზემოქმედებას მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მცხოვრებ მოსახლეობაზე, რომელიც აღემატება ADB-ის მიერ დასაშვები ხმაურის სტანდარტებს;
- (ii) ხალხს შესაძლოა საფრხე შეექმნათ მშენებლობისას კორპუსებიდან ჩამოვარდნილი საგნებისგან;
- (iii) უნდა მოხდეს პროექტის მიერ დაზარალებული კორპუსებზე ვიბრაციის ზემოქმედების ხელახალი შეფასება, რომელთაც გააჩნიათ მიშენებები და ზომის მიხედვით წარმოადგენს კორპუსის მნიშვნელოვან ნაწილს და სადაც ვიბრაციის მოდელირება მოხდა მხოლოდ კორპუსის ძირითად ნაწილზე. ვიბრაციის ზემოქმედების შეფასება უნდა მოიცავდეს როგორც შენობის ძირითად კარკასს, ასევე მიშენებებს. ამასთანავე, უნდა მოხდეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა შენობა-ნაგებობის ბუნებრივი სიხშირის გაზომვა, რომლებიც გათვალისწინებულია ვიბრაციის ზემოქმედების კვლევაში. გაზომილი მონაცემი უნდა იქნას შეყვანილი ვიბრაციის ზემოქმედების მოდელში (და არა სავარაუდო მონაცემები) რათა შეფასებულ იქნას შენობებზე ვიბრაციის ზემოქმედება. იმ შემთხვევაში თუ მოდელის ახალი, გადასინჯული კალკულაცია მიუთითებს, რომ მოხდება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი შენობების დაზიანება, უნდა მოხდეს ადექვატური ზომების გატარება. შემარბილებელი ღონისძიებები უნდა იქნას გატარებული გზის მშენებლობის დაწყებამდე, რათა დაცული იქნას შენობები და მაცხოვრებლების უსაფრთხოება;

⁷ CRP-ის საბოლოო ანგარიში სესხი 3063: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (ტრანში 3) შესაბამისობის ანალიზთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია [https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO-CRP-Final%20Report-6March-Board.pdf/\\$FILE/GEO-CRP-Final%20Report-6March-Board.pdf](https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO-CRP-Final%20Report-6March-Board.pdf/$FILE/GEO-CRP-Final%20Report-6March-Board.pdf)

- (iv) მოწყვლად და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯგუფებზე ზემოქმედება არ არის შეფასებული და არანაირი შემარბილებელი ღონისძიებები არ არის შემუშავებული;
- (v) არასაკმარისი კონსულტაციები გაიმართა მოწყვლად ჯგუფებთან, განსაკუთრებით მხედველობადაქვეითებულ პირებთან;
- (vi) პროექტის ეკოლოგიური ზემოქმედება მდინარე მტკვარზე არ არის შეფასებული; და
- (vii) გარემოზე ზემოქმედების კუთხით პროექტს არ გააჩნია შესაბამისი კლასიფიკაცია

14. თუმცა CRP-მა დაადგინა, რომ პროექტი აკმაყოფილებს აზიის განვითარების ბანკის ჰაერის ხარისხის სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

IV. გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმის მეორე ყოველწლიური მონიტორინგის შედეგები

15. CRP აღნიშნავს, რომ მისი პირველი ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშის შემდეგ, მშენებლობის მხრივ ძალიან მცირედი პროგრესი დაფიქსირდა პროექტის მონაკვეთის მეორე და მესამე ფაზებზე. ADB-ის მენეჯმენტსა და პროექტის აღმასრულებელ სააგენტოს - MDF-ს შორის აქტიური თანამშრომლობის მიუხედავად, მონიტორინგის პერიოდში არანაირი სამშენებლო აქტივობა არ დაფიქსირებულა მომჩივანი პირებით დასახლებულ ადგილებში.

16. CRP-თვის ADB-ის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, დიდხნიანი შეფერხებისა და მაცხოვრებლების მხრიდან მუდმივი წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ADB-ის მიერ მოხდა მესამე ტრანშის ფარგლებში ძირითადი ცვლილების შემუშავება, მსესხებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. საქართველოს მთავრობის ფინანსთა სამინისტრომ (მთავრობა) მოითხოვა პროექტის მეორე მონაკვეთის TRURL-ის მეორე და მესამე ფაზის ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების ამოღება. ცვლილება გულისხმობს TRURL-ის მეორე მონაკვეთის სამუშაოების მოცულობის შემცირებას, გზის 6.8 კილომეტრიანი მონაკვეთიდან 3.5 კმ-მდე, რადგან პროექტის ფარგლებში მოხდება არსებული გზის მხოლოდ პირველი ფაზის სამუშაოებისა და კომუნიკაციების დასრულება. მსესხებლის შეთავაზებაა, რომ პირველი ფაზის ფარგლებში შეკეთებულ საგზაო ქვე-მონაკვეთების დაკავშირება მოხდეს ფონიჭალას არსებული გზის ხარჯზე და არა გზის გაფართოების მეშვეობით, როგორც ეს გათვლილი იყო პროექტის მეორე მონაკვეთით.

17. ADB-ის საბჭოს მიერ მოხდა არსებული RAP-ის და შემდგომი RAP-FS-ის, ასევე CRP-ის და BCRC-ის შენიშვნების განხილვა და დამტკიცება. CRP-ის მანდატი გულისხმობს საბჭოს მიერ დამტკიცებული RAP-ის მონიტორინგს. პროექტის დიზაინის ნებისმიერი ცვლილება და RAP-ში შეტანილი შესაბამისი ცვლილებები შეფასებისა და განხილვისათვის უნდა წარედგინოს BCRC-ს, CRP-ის მეშვეობით.

18. ქვემოთ დეტალურად მოცემულია CRP-ის დაკვირვებები და პროექტის შესაბამისობის დონის შეფასება; ასევე შეთავაზებები ADB-ის მენეჯმენტისადმი, პროექტის ADB-ის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით.

ა. ხმაურის ზემოქმედება

შესაბამისობის სტატუსი: წინამდებარე ანგარიშის მომენტისათვის, ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა #1: აქტივობები ხმაურის ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში

ხმაურის ზემოქმედების კვლევა:

- 1.1 ფონიჭალაში ხმაურის არსებული დონის დადგენა და განსხვავებული სცენარის ფარგლებში მოდელის განსაზღვრა, WHO-ის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, რომელიც ასახულია WB EHS-ის სახელმძღვანელოში.
- 1.2 ხმაურის ზემოქმედების კვლევის ანგარიშის შემუშავება, რომელიც შეფასებულია ADB-ის და MDF-ის მიერ და CRP-თვის გაზიარება შეფასების მიზნით.
- 1.3 ხმაურის ზემოქმედების შესამცირებელი ღონისძიებების შერჩევა, რომელიც პროექტს შესაბამისობაში მოიყვანს ADB-ის პოლიტიკასა და პროცედურებთან
- 1.4 შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების დაწყება, რომელსაც მოჰყვება ინტეგრირებული მიდგომა.
- 1.5 ხმაურის ზემოქმედების მონიტორინგის პროგრამის მომზადება და განხორციელება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზების დროს (გზების ექსპლუატაციის სულ მცირე 3 წლის განმავლობაში)
- 1.6 პროექტის მშენებლობის პერიოდში, კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შემდეგი დებულებების გათვალისწინება:
 - სამუშაო საათების განსაზღვრა ორშაბათიდან პარასკევამდე დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე;
 - ხმაურის დროებითი ბარიერების დაყენება სამშენებლო ადგილებში, რომელიც მდებარეობს საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ
 (მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმისა და მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტის ტექსტის სრულად სანახავად იხილეთ დანართი 1 და 2)

19. **CRP-ის დასკვნები #1 აქტივობასთან შესაბამისობის შესახებ:** თავის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშში⁸, CRP აღნიშნავდა, რომ ADB-ის მენეჯმენტმა დაასრულა ხმაურის ზემოქმედების შეფასების კვლევა და ასევე შეიმუშავა ტექნიკური გადაწყვეტა ხმაურის ზემოქმედების შემცირების მიზნით პროექტის მთელს სიგრძეზე, ფონიჭალაში. ხმაურის ზემოქმედების შემცირების კუთხით მომზადებული შეთავაზება აერთიანებდა სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის 560 მეტრი სიგრძის აკუსტიკური გვირაბით ორივე სავალი ნაწილის გადახურვას, ასევე ხმაურისგან დამცავი ორი კედლის

⁸ CRP-ის პირველი ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიში სესხი 3063: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (ტრანში 3) გამოსასწორებელი აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია [https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO%20SUTIP-T3-1st%20Monitoring%20Report-ForWeb.pdf/\\$FILE/GEO%20SUTIP-T3-1st%20Monitoring%20Report-ForWeb.pdf](https://lnadbg4.adb.org/dir0035p.nsf/attachments/GEO%20SUTIP-T3-1st%20Monitoring%20Report-ForWeb.pdf/$FILE/GEO%20SUTIP-T3-1st%20Monitoring%20Report-ForWeb.pdf).

განთავსებას, ერთი 5 მეტრი სიმაღლისა და 880 მეტრი სიგრძის და მეორე 8 მეტრი სიმაღლისა და 188 მეტრი სიგრძის. წინამდებარე მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში CRP-ის აცნობეს, რომ მოსახლეობის მხრიდან მუდმივი წინააღმდეგობის გამო, ფონიჭალის მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება ვერ ხერხდება. CRP-თვის ADB-ის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, დიდხნიანი შეფერხებისა და მაცხოვრებლების მხრიდან მუდმივი წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ADB-ის მიერ მოხდა მესამე ტრანშის ფარგლებში ძირითადი ცვლილების შემუშავება, მსესხებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. საქართველოს მთავრობის ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა პროექტის მეორე მონაკვეთის TRURL-ის მეორე და მესამე ფაზის ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების ამოღება. პირველი ფაზის ფარგლებში შეკეთებულ საგზაო ქვე-მონაკვეთების დაკავშირება მოხდება ფონიჭალის არსებული გზის ხარჯზე და არა გზის გაფართოებით, როგორც ეს გათვლილი იყო პროექტის მეორე მონაკვეთით.

20. CRP აღნიშნავს, რომ აღნიშნული მოვლენების გამო, CRP-ის პირველი მონიტორინგის ანგარიშის შემდეგ არანაირი ფიზიკური სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელებულა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სამუშაოები საჭიროებს დასრულებას. აღნიშნული გულისხმობს 60 მეტრის საყრდენი კედლის შენარჩუნებას მდინარის გასწვრივ, რომელიც

სურათი 1: 60 მეტრი სიგრძის საყრდენი კედელი ლითონის წნულებით და კოფერდამით



წყარო: შესაბამისობის ანალიზის პანელის ოფისი (OCR)

აგებულ იქნა მდინარის გასწვრივ არსებული ლოდებით.

21. CRP აღნიშნავს, რომ არ მოხდა ხმაურის ზემოქმედების შესამცირებელი ღონისძიებების განხორციელება ფონიჭალას მთლიან მონაკვეთზე. თუმცა, ADB-იმ ჩაატარა თბილისი-რუსთავის არსებული გზაზე ხმაურის მოდელების კვლევა, მსესხებლის მიერ მოთხოვნილი გაფართოების გათვალისწინებით. როგორც CRP-თვისაა ცნობილი, MDF-მა 2019 წლის ივნისში ფონიჭალას მაცხოვრებლებს გააცნო ხმაურის მოდელების შესახებ შემუშავებული ანგარიში.

22. CRP აღნიშნავს, რომ მენეჯმენტის #1 აქტივობაში გაწერილი სხვადასხვა ღონისძიებები არ შესრულდა, გზის გაფართოების გეგმაში შეტანილი ცვლილებების გამო და

რომ ADB ამჟამად მუშაობს აღნიშნულ შეთავაზებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე.

23. როგორც არსებული RAP-თან, ისე შესაბამისი RAP-FS-თან, ასევე CRP-სა და BCRC-თან დაკავშირებული კომენტარები განხილულ და დამტკიცებულ იქნა ADB-ის საბჭოს მიერ. პროექტის დიზაინის ნებისმიერი ცვლილებისა და RAP-ში შეტანილი ცვლილებების BCRC-თვის წარდგენა შეფასებისა და განხილვისათვის უნდა მოხდეს CRP-ის მეშვეობით.

24. **CRP-ის დასკვნები მენეჯმენტის #1 აქტივობასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.** CRP-ის დასკვნით, ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან. სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს მენეჯმენტის #1 აქტივობაში გაწერილ აქტივობებს, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ:

1.4. შემარბილებელი ღონისძიების განხორციელების დაწყება, ინტეგრირებული მიდგომის შემდეგ.

1.5. ხმაურის მონიტორინგის პროგრამის მომზადება და იმპლემენტაცია მშენებლობის და შემდეგ ექსპლუატაციის ფაზებში (სულ მცირე გზების ექსპლუატაციიდან 3 წლის განმავლობაში)

1.6 პროექტის მშენებლობის პერიოდში, კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შემდეგი დებულებების გათვალისწინება:

- სამუშაო საათების განსაზღვრა ორშაბათიდან პარასკევამდე დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე;
- ხმაურის დროებითი ბარიერების დაყენება სამშენებლო ადგილებში, რომელიც მდებარეობს საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ

25. ამასთან, ADB-მ სასურველია რომ დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 26-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები, რომლებიც ასევე წარმოდგენილია ქვემოთ:

(i) მშენებლობის და ოპერირების პერიოდში ხმაურის ზემოქმედების შემარბილებელი მიდგომისა და სტრატეგიების საბოლოო სახით შემუშავება უნდა მოხდეს დაზარალებულ პირებთან კონსულტაციის შემდეგ; აღნიშნული კონსულტაციის ოქმი უნდა იქნას მიწოდებული CRP-თვის

(iii) ADB-მ CRP-ს შეფასებისა და კომენტარებისთვის უნდა გააცნოს მშენებლობის პერიოდში ხმაურის ზემოქმედების დროებითი შემარბილებელი ღონისძიებების დეტალები და ხმაურის სტანდარტებთან მათი შესაბამისობა (აქტივობა 1.6)

(iv) მშენებლობისა და ოპერირების პერიოდში ხმაურის მონიტორინგის პროგრამის (ToR) დეტალები, მათ შორის სინჯების აღების ლოკაცია, სიხშირე და ხანგრძლივობა, შეფასებისა და კომენტარებისთვის უნდა მიეწოდოს CRP-ს.

(v) SSEMP რომელსაც უნდა მოიცავდეს დეტალური სამშენებლო გეგმას, ხმაურის შემარბილებელ დროებით ღონისძიებებს, აღსრულების სტრატეგიას და აშ, საბოლოო სახით შემუშავებამდე უნდა გაეგზავნოს CRP-ის შეფასებისა და კომენტარებისთვის.

(vi) შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებების იმპლემენტაცია (ღონისძიების აქტივობა 1.4 -დან 1.6-მდე)

ბ. ვიბრაციის ზემოქმედება

შესაბამისობის სტატუსი: წინამდებარე საანგარიშო პერიოდში, ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან.

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა # 2: აქტივობები ვიბრაციის ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შესაბამისობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში

ვიბრაციის ზემოქმედების კვლევა:

- 2.1. ფონიჭალაში ძირითადი შენობებისა და მიშენებების ბუნებრივი სიხშირის შეფასება. პროექტით გამოწვეული ვიბრაციის ზემოქმედების მოდელების შემუშავება და რეკომენდაციები შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- 2.2. ADB-სა და MDF-ის მიერ განხილული ანგარიშის პროექტი შეფასებულ ბუნებრივ სიხშირესთან დაკავშირებით და მისი CRP-თვის მიწოდება.
- 2.3. შენიშვნებისთვის CRP-თვის ვიბრაციის ანგარიშის მეორე პროექტის გაგზავნა, მათ შორის ვიბრაციის ზემოქმედების შეფასება ძირითად შენობებსა და მიშენებებზე, იმ შემთხვევაში თუ მიშენებები დიდია.
- 2.4. ვიბრაციის შემარბილებელი მიდგომის შემუშავება, რომელიც პროექტს მოიყვანს ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობაში.
- 2.5. შემარბილებელი ღონისძიების განხორციელების დაწყება, რომელსაც თან სდევს ინტეგრირებული მიდგომა.
- 2.6. ეფექტური მონიტორინგის სისტემის მუშაობა მშენებლობის პროცესში და კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შემდეგი დებულებების გათვალისწინება:
 - (i) ვიბრაციის მონიტორინგის სისტემის ადგილმდებარეობის გეგმა (სადირკველზე ვიბრაციის ზემოქმედების კარკასის შემოწმებისათვის, ბინების მაცხოვრებლებზე ზემოქმედების დასადგენად);
 - (ii) ვიბრაციის მონიტორინგის მონაცემების ონლაინ ანალიზი (კარკასის შეფასებისათვის: DIN 4150-3; ხალხზე ზემოქმედებისათვის: DIN 4150-2);
 - (iii) კრიტიკული დონეების განსაზღვრა (ადრეული სტადია, უკიდურესად მაღალი) გარკვეულ პირთა ჯგუფისათვის ავტომატური შეტყობინებების გასაგზავნად;
 - (iv) სამოქმედო გეგმა ვიბრაციის უკიდურესად მაღალი დონის შემთხვევაში; და
 - (v) ვიბრაციის მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ანგარიში.
- 2.7 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე იმ შენობის გაუმაგრებელი მორყეული ნაწილების (ცალკეული ნაწილები) მოხსნა, რომელიც ექვემდებარება ვიბრაციის ზემოქმედების კვლევას
- 2.8 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მიშენებების შესაბამისად გამაგრება.

(მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმისა და მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტის ტექსტის სრულად სანახავად იხილეთ დანართი 1 და 2)

26. **CRP-ის დასკვნები მენეჯმენტის #2 აქტივობასთან შესაბამისობის შესახებ:** მეორე ყოველწლიური მონიტორინგის ვიზიტისას, CRP ინფორმირებულ იქნა გზის გაფართოებასთან დაკავშირებით შეთავაზებული ცვლილების შესახებ. აღნიშნული ცვლილებით, პროექტიდან მოხდებოდა ფონიჭალის გზის მონაკვეთის ამოღება, რომელიც გახლდათ მიმდებარე შენობებზე ვიბრაციის და მასთან დაკავშირებული სხვა ზემოქმედების კუთხით, შემფოთების მთავარი მიზეზი.

27. აღნიშნული გარემოებების გამო, ფონიჭალას მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება არ მოხდა; შეთავაზებული ცვლილება გულისხმობს TRURL-ის ფარგლებში, მეორე მონაკვეთის სამუშაოების შემცირებას 6.8 კმ-იანი გზის ნაცვლად 3.5 კმ-მდე. პროექტის ფარგლებში მოხდება მხოლოდ პირველი ფაზისა და აღნიშნულ გზებთან დაკავშირების სამუშაოების დასრულება. საიტ ვიზიტის დროს, 10 სექტემბერს CRP-იმ გამართა შეხვედრა მაცხოვრებლებთან და აღნიშნავს, რომ მაცხოვრებლები ინფორმირებული იყვნენ გზის გაფართოებასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ, თუმცა მათ გააჩნდათ გარკვეული შეკითხვები და შემფოთებები აღნიშნული ცვლილების პერმანენტულობასთან და უახლოეს მომავალში გზის გაფართოების საკითხის ხელახლა დაყენებასთან დაკავშირებით. MDF-დან და ADB-თან განხილვებისას, CRP-მა შეიტყო, რომ ხელახალი გაფართოების შემთხვევაში, ვიბრაციის საკითხი არა რელევანტური გახდებოდა, რადგან ADB-ის მიერ ფონიჭალას მონაკვეთზე გზის მშენებლობის დაფინანსება არ მოხდება.

28. შესაბამისად, CRP აღნიშნავს, რომ მენეჯმენტის მეორე აქტივობის ან CRP-ის პირველი ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშის 36-ე პარაგრაფში მოცემული შეთავაზებების შესრულების კუთხით თითქმის არანაირი მნიშვნელოვანი პროგრესი არ აღინიშნება.

29. **CRP-ის დასკვნა #2 აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით.** CRP-ის თანახმად, ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია #2 აქტივობასთან. სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს მენეჯმენტის #2 აქტივობაში გაწერილ ღონისძიებებს, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ:

- 2.5. შემარბილებელი ღონისძიების განხორციელების დაწყება, რომელსაც თან სდევს ინტეგრირებული მიდგომა.
- 2.6. ეფექტური მონიტორინგის სისტემის მუშაობა მშენებლობის პროცესში და კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შემდეგი დებულებების გათვალისწინება:
 - (i) ვიბრაციის მონიტორინგის სისტემის ადგილმდებარეობის გეგმა (საძირკველზე ვიბრაციის ზემოქმედების კარკასის შემოწმებისათვის, ბინების მაცხოვრებლებზე ზემოქმედების დასადგენად);
 - (ii) ვიბრაციის მონიტორინგის მონაცემების ონლაინ ანალიზი (კარკასის შეფასებისათვის: DIN 4150-3; ხალხზე ზემოქმედებისათვის: DIN 4150-2);
 - (iii) კრიტიკული დონეების განსაზღვრა (ადრეული სტადია, უკიდურესად მაღალი) გარკვეულ პირთა ჯგუფისათვის ავტომატური შეტყობინებების გასაგზავნად;
 - (iv) სამოქმედო გეგმა ვიბრაციის უკიდურესად მაღალი დონის შემთხვევაში; და

- (v) ვიზრაციის მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ანგარიში.

2.7 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე იმ შენობის გაუმაგრებელი მორყეული ნაწილების (ცალკეული ნაწილები) მოხსნა, რომელიც ექვემდებარება ვიზრაციის ზემოქმედების კვლევას

2.8 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მიშენებების შესაბამისად გამაგრება.

30. ამასთან, ADB-მ სასურველია რომ დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 36-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები, რომლებიც ასევე წარმოდგენილია ქვემოთ:

- (i) ადგილობრივებთან კონსულტაციის შემდეგ (აქტივობა 5.3 და 5.4 აქტივობა 2.7-თან და 2.8-თან ერთად) უნდა იქნას შემუშავებული ვიზრაციის ზემოქმედების შერბილების მიდგომა და სტრატეგიები, როგორც მშენებლობის ისე ოპერირების ფაზებისათვის და CRP-ის უნდა მიეწოდოს კონსულტაციების დამადასტურებელი ოქმები. CRP-მ კონსულტაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით თავისი შენიშვნები და კომენტარები წარმოადგინა 2017 წლის 27 ივნისის წერილის მეშვეობით.
- (ii) ADB-მ უნდა შეისწავლოს 28ა კორპუსთან კლდის მოჭრით გამოწვეული ვიზრაციის კონკრეტული ზემოქმედება, რადგან კორპუსი მდებარეობს აღნიშნული მონაკვეთიდან 14 მეტრში.
- (iii) ADB-იმ შეფასებისა და შენიშვნებისათვის CRP-ის უნდა გაუზიაროს განსახორციელებელი სამუშაოების მეთოდოლოგია და საბოლოო გადაწყვეტისა და აქტივობების დეტალები.
- (iv) SSEMP, რომელიც მოსალოდნელია რომ უზრუნველყოფს 2.6 აქტივობასთან შესაბამისობას, უნდა მოიცავდეს მშენებლობის დეტალურ გეგმას; ტექნიკის განთავსების; ვიზრაციის დროებითი კონტროლისა და შერბილების ღონისძიებებს; ვიზრაციის მონიტორინგის სისტემას, აღსრულების სტრატეგიებს; და კომენტარებისა და შეფასებისთვის უნდა გაეგზავნოს CRP-ის, მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე.
- (v) ADB-იმ 2.5 - 2.8 აქტივობების შესაბამისად უნდა განახორციელოს შეთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის სისტემა.

გ. მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედება

შესაბამისობის სტატუსი: ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან. ADB-ის მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს დამატებითი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს SPS-ის პირველი დანართის მე-8 პარაგრაფთან შესაბამისობა.

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა #3: აქტივობები მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში

3.7 კომუნიკაციის ეროვნული კონსულტანტის დაქირავება.

3.8 მოწყვლად პირებთან და ჯგუფებთან კონსულტაციების ჩატარებისათვის მეთოდოლოგიის მომზადება.

3.9 მოწყვლად ჯგუფებთან და პირებთან სამიზნე კონსულტაციების ჩატარება ზემოქმედების შეფასების მიზნით (i) მშენებლობის ფაზის დროს და (ii) ექსპლუატაციის ფაზის დროს.

3.10 ანგარიშის პროექტის დასკვნების უნდა იქნას განხილული ADB-ის და MDF-ის მიერ და განსახილველად უნდა მიეწოდოს CRP-ს.

3.11 ანგარიშის დასკვნები და შეთავაზებული ღონისძიებები უნდა იქნას ნათარგმნი ადგილობრივ ენაზე და მიწოდებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის.

3.12 განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების (მათ შორის სოციალური დახმარების პროგრამა მხედველობადაქვეითებულებისთვის, მშენებლობის პერიოდში) და შემდგომ მოწყვლადი პირების დაცვის ინტეგრირებული მიდგომის იმპლემენტაცია (i) მშენებლობის და (ii) ექსპლუატაციის პერიოდში.

(მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმისა და მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტის ტექსტის სრულად სანახავად იხილეთ დანართი 1 და 2)

31. **CRP-ის დასკვნები #3 აქტივობასთან შესაბამისობის შესახებ:** პირველ შესაბამისობის ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშში CRP-მ წარმოადგინა კონკრეტული შეთავაზებები მენეჯმენტის მე-3 აქტივობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. CRP ინფორმირებულ იქნა ADB-ის მენეჯმენტის მიერ, რომ მსესხებლის მოთხოვნისამებრ შეცვლილი გზის გაფართოების გეგმის გამო არანაირი ღონისძიებები არ იქნა გატარებული აქტივობასთან შესაბამისობის კუთხით. MDF-ის ცნობით, გზის გაფართოების გეგმის შეთავაზებული ცვლილებებით, მომჩივანთა კორპუსების მიმდებარედ არანაირი სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელდება და შესაბამისად პროექტს არანაირი უარყოფითი გავლენა არ ექნება მოწყვლად ჯგუფებზე, რომლებიც გაფართოების წინა გეგმის ფარგლებში, პოტენციური ზემოქმედების ქვეშ იქნებოდნენ.

32. CRP-სა და მაცხოვრებლებს შორის ურთიერთობისას, მათ შორის 2019 წლის 10 სექტემბერს მოწყვლად პირებთან შეხვედრისას ნათელი გახდა, რომ მოსახლეობისათვის ცნობილია გზის გაფართოების გეგმის ცვლილების შესახებ, თუმცა არსებობს გარკვეული მღელვარება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მუდმივი იქნება აღნიშნული ცვლილება. ზოგიერთმა მაცხოვრებელმა გამოხატა მოსაზრება, რომ პროექტში ADB-ის როლის დასრულების შემდეგ, გზის გაფართოების საკითხი შეიძლება კვლავ აქტუალური გახდეს.

33. CRP ინფორმირებულ იქნა MDF-ის მიერ იმ ურთიერთობების შესახებ რომელიც MDF-ს ჰქონდა მოსახლეობასთან, კერძოდ მხედველობადაქვეითებულ პირებთან, როდესაც მათ ეცნობათ მთავრობის გადაწყვეტილება გზის გაფართოების გეგმის ცვლილებასთან დაკავშირებით. MDF-ის ინფორმაციით, გამოვლენილია და RAP-FS-ში გათვალისწინებულია 95 მხედველობადაქვეითებული პირი, და MDF-ის უახლესი ინფორმაციით 10 მათგანი გარდაცვლილია, 8 შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და 35 დაესწრო შეხვედრას, მათი ნათესავების დახმარებით. MDF დაუკავშირდა დარჩენილ 42 მხედველობადაქვეითებულ პირს და აცნობა მათ გზის გაფართოებასთან დაკავშირებული ცვლილების შესახებ. MDF-ის ინფორმაციით, CRP-ის პირველი ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშის რეკომენდაციის შესაბამისად, დაცულია აღნიშნული შეხვედრების აღმრიცხველი დოკუმენტაცია.

34. CRP აღნიშნავს, რომ MDF-სა და მოსახლეობას შორის შეხვედრებისას გაჟღერდა კონკრეტული თხოვნები რომელიც ეხებოდა შუქნიშნების დამონტაჟებას; არსებული გზის მოდერნიზებას; სიჩქარის შეზღუდვების მანიშნებელი სიგნალების დამონტაჟებას. ADB-ის ინფორმაციით, გზის გაფართოების შეთავაზებული ცვლილების ADB-ის მხრიდან დამტკიცების შეთხვევაში, ფონიჭალის მონაკვეთის არსებული გზა არ მოხდებოდა ADB-ის დაფინანსებაში. MDF-მა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ქალაქის საკრებულოს კომპეტენციას და ისინი თხოვნით მიმართავენ საკრებულოს რეაგირება მოახდინონ ზემოხსენებულ თხოვნაზე. MDF-ის ინფორმაციით, მათ ასევე აცნობეს მოსახლეობას სამშენებლო ნარჩენების გატანის შესახებ, სავალდებულო გარემოსდაცვითი ნორმების შესაბამისად.

35. CRP აღნიშნავს, რომ მენეჯმენტის მე-3 აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით არანაირი მნიშვნელოვანი პროგრესი არ დაფიქსირებულა, ისევე როგორც არც CRP-ის პირველი მონიტორინგის ანგარიშის 42-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციის შესრულების კუთხით.

36. CRP დასკვნა მე-3 აქტივობასთან შესაბამისობის შესახებ. CRP-ის დასკვნით, ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან. სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს მენეჯმენტის #3 აქტივობაში გაწერილ აქტივობებს (როგორც ეს მითითებულია ქვემოთ):

3.5 ანგარიშის დასკვნები და შეთავაზებული ღონისძიებები უნდა იქნას ნათარგმნი ადგილობრივ ენაზე და მიწოდებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის.

3.6 განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების (მათ შორის სოციალური დახმარების პროგრამა მხედველობადაქვეითებულებისთვის, მშენებლობის პერიოდში) და შემდგომ მოწყვლადი პირების დაცვის ინტეგრირებული მიდგომის იმპლემენტაცია (i) მშენებლობის და (ii) ექსპლუატაციის პერიოდში.

37. ამასთან, ADB-მ სასურველია რომ დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 42-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები (ii), (iii), (iv), და (vi), რომლებიც ასევე წარმოდგენილია ქვემოთ, რომელიც დაკავშირებულია კონსულტაციის მონაცემების გასაჯაროებასთან და სოციალური დახმარების პროგრამის შემუშავებასთან, რომელიც უნდა დაჩქარდეს და შეძლებისდაგვარად განხორციელდეს გზის გაფართოების შეცვლილი გეგმის დამტკიცებამდე, იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გაჭიანურდება.

- (ii) *სოციალური დახმარების პროგრამის ღონისძიებების განსაზღვრა ზემოქმედების შემსუბუქების მიზნით, განსაკუთრებით გზის მშენებლობისას;*
- (iii) *გზის მშენებლობის ზემოქმედებასთან დაკავშირებული კონსულტაციების შედეგების და შემარბილებელი ღონისძიებების წარმოდგენა CRP, განსახილველად და შენიშვნებისთვის;*
- (iv) *მშენებლობის დროს ზემოქმედებასთან დაკავშირებული კონსულტაციების შედეგებისა და შეთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების თარგმნა ადგილობრივ ენაზე და განთავსება ADB-ის ვებ-გვერდზე (აქტივობა 3.5);*
- (vi) *ფონიჭალაში კონსულტაციების ანგარიშის თარგმნა (გვერდები 1-20, 2017 წლის დეკემბერი) და განთავსება ADB-სა და MDF-ის ვებ-გვერდებზე.*

დ. ზემოქმედება მდინარის ეკოლოგიაზე

შესაბამისობის სტატუსი: ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან.

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა # 4: აქტივობა წყალსა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შესაბამისობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში

მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება:

- 4.7 პირველადი კვლევის ჩატარება, ეკოლოგიური სკრინინგისა და ზემოქმედების შეფასების კვლევის ჩატარება პროექტის მშენებლობისა და ოპერირების ზემოქმედების დასადგენად მდინარეზე, განსაკუთრებით თევზების უნიკალურ ჯიშებზე.
- 4.8 ანგარიშის პროექტის შეფასება ADB-სა და MDF-ის მიერ და შეფასებისათვის CRP-თვის მიწოდება.
- 4.9 ანგარიშის მოკლე შინაარსის თარგმნა ადგილობრივ ენაზე, გავრცელება და ადგილობრივ დანტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა
- 4.10 გარემოსდაცვითი მართვის განახლებული გეგმის (EMP) საფუძველზე შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც მოიცავს კონკრეტულ EMP-ს მდინარის ეკოსისტემაზე ზემოქმედების შესახებ და დამატებით შემამსუბუქებელ ღონისძიებებს მდინარის ეკოლოგიური ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით.
- 4.11 წვიმის წყლის დრენაჟის სისტემის დიზაინის გადასინჯვა, მდინარის წყლის დასაცავად, საგზაო შემთხვევების დროს. საგანგებო გეგმები მომზადდება, როგორც საიტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ნაწილი. წვიმის წყლის შემცველი აუზის მოცულობა უნდა მოიცავდეს სატვირთო მანქანის ერთი სრული ავზის მოცულობას.

(მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმისა და მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტის ტექსტის სრულად სანახავად იხილეთ დანართი 1 და 2)

38. **CRP-ის დასკვნა #4 აქტივობასთან შესაბამისობის შესახებ.** CRP აღნიშნავს, რომ ADB ჩაატარა მდინარის ეკოლოგიის სკრინინგი და ზემოქმედების შეფასების კვლევა, რათა შეესწავლა მდინარის ეკოლოგიური სენსიტიურობა; შეეფასებინა პროექტის ზემოქმედების მასშტაბი; და შეეთავაზებინა შემარბილებელი ღონისძიებები. კვლევამ აჩვენა, რომ პროექტის ზემოქმედება მდინარე მტკვარზე იქნება მინიმალური. ADB-ის ინფორმაციით, SPS-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით შემუშავდა კონკრეტული ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (SSEMP) რომელიც გათვალისწინებული იყო მდინარე მტკვრის ეკოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შემსუბუქება და მართვა. თუმცა, ADB-ის ინფორმაციით, გზის გაფართოების გეგმის ცვლილების თანახმად, აქტივობა 4.4 და 4.5 აქტუალური აღარ არის, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი აღარ დასრულდება. თუმცა CRP აღნიშნავს, რომ მდინარის ეკოლოგიური კვლევა არ ასკვნის, რომ დონის დაწვევის შემთხვევაში მდინარე მტკვარი კვლავაც განხილულ იქნას ბუნებრივ ჰაბიტატად. ADB-ის ინფორმაციით, SPS-ის მოთხოვნების შესასრულებლად, მოხდება SSEMP-ის მომზადება

(აქტივობა 4.4) დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებებით, მდინარის ეკოლოგიური კვლევის ანგარიშის დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, გზის გაფართოების შეთავაზებული ცვლილების გათვალისწინებით.

39. MDF-ის კომპლექსური შეფასების ანგარიში რეკომენდაციას უწევს ჰაბიტატის აღდგენას მდინარის ნაპირას, ეროვნულ ჰაბიტატზე ზემოქმედების შემსუბუქების მიზნით და დამატებითი სანაპირო ზოლის შესაქმნელად, მიმდებარე პარკებთან სიახლოვეს და SPS-ის „არანაირი წმინდა ზარალის“⁹ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. CRP-ის აზრით, ADB-მ სულ მცირე უნდა განახორციელოს აღნიშნული აქტივობები, პროექტის მშენებლობის აქტივობების პარალელურად, ადრე თუ არა.

40. CRP-ის მიწოდებული ინფორმაციით, შემაკავებელი კედლის სამი მონაკვეთი (20 მ/მონაკვეთი) უკვე აშენებულია, მათ შორის არმატურის კმ 5+800-კმ6+600, რომელიც მოეწყო 2019 წლის ივლის-აგვისტოში, როდესაც წყლის დონე კალაპოტში იყო დაბალი. თუმცა, შემაკავებელი კედლის მთავარი ნაწილის ცემენტით ამოვსება მაშინ ვერ მოხდა, რადგან სამუშაოები შეჩერებულ იქნა. შედეგად, ამჟამად წყლიდან ამოშვერილია არმატურის მილები. (იხილეთ სურათი 1).

41. MDF-თან და კონტრაქტორის წარმომადგენელთან ერთად საიტ ვიზიტის დროს, CRP ასევე ეწვია სამშენებლო მასალების საყრელს, რომელიც მდებარეობს ინდუსტრიული სივრცის მიმდებარედ. MDF-ის მიერ მომზადებული გათვლებით, საყრელის მოცულობაა 160,000 კუბური მეტრი და მდებარეობს ფონიჭალაში, საცხოვრებელი ტერიტორიის ორივე მხარეს და ინდუსტრიულ ტერიტორიაზე. CRP ინფორმირებულ იქნა, რომ საყრელის გამოსასწორებელი

სურათი 2: CRP სამშენებლო მასალების/ნარჩენების თავზე, პროექტის კონტრაქტორთან ერთად აღდგენითი სამუშაოების განხილვისას



წყარო: OCRP

⁹ როგორც ეს მოცემულია ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებაში, პუნქტი. 24, "მსესხებელმა / კლიენტმა უნდა განსაზღვროს ღონისძიებები უარყოფითი ზემოქმედებისა და რისკების თავიდან აცილების, შემცირების ან შემსუბუქების მიზნით და საბოლოო ჯამში, შესთავაზოს კომპენსაცია, როგორცაა ბიომრავალფეროვნების აღდგენა, რათა არ მოხდეს წმინდა ზარალის ან დაზარალებული ბიომრავალფეროვნების სახით წმინდა მოგების მიღება."

აქტივობების გეგმა ამჟამად შემუშავების პროცესშია, რომელიც წარმოადგენს გარემოს კომპლექსური კვლევის ნაწილს, გზის გაფართოების შეთავაზებული ცვლილებისათვის.

42. ADB-ის ინფორმაციით, MDF-ის მიერ კომპლექსური შეფასების ანგარიშის შემუშავება მოხდა მდინარე მტკვრის ჰიდროლოგიური ანალიზის საფუძველზე 2019 წლის ივნისში. მდინარე მტკვრის ჰიდროლოგიური ანალიზის თანახმად, რომელიც ჩატარდა პროექტირების ეტაპზე, მშენებლობის დროსაც კი 1,700 მ სიგრძის შემაკავებელი კედლის, მდინარის კალაპოტისა და მისი ბუნებრივი დინების შეცვლა არ მოხდება ამჟამად არსებული შემაკავებელი კედლის, რომლის სიგრძე არის 60 მეტრი. კონსტრუქცია გავლენას არ ახდენს მდინარის დინებაზე, რადგან იგი მდებარეობს მდინარის ნაპირთან. ADB-ის ინფორმაციით, აღნიშნული შეიძლება სასარგებლო იყოს ჰაბიტატზე, რადგან მდინარის სახეობებს ექნებათ შედარებით მშვიდ დინებაში გამრავლების საშუალება. უნდა აღინიშნოს, რომ მდინარის დინებაზე აღნიშნულ მონაკვეთზე საკმაო სწრაფია, რაც ხელს უშლის გამრავლების პროცესს თუ აღნიშნული ხდება მდინარის შუაგულში. რაც შეეხება ეროზიას, ADB-ის ინფორმაციით, ნაპირზე არსებული კლდოვანი მასალის გამო, ეროზიის რისკი თავიდანაა აცილებული. ასევე ADB-ის ინფორმაციით, ჰიდრავლიკის სპეციალისტის მიერ ჩატარებულ იქნა აუდიტი, რომლის თანახმად მდინარე მტკვრის მიმდებარედ ჩატარებული სამშენებლო სამუშაოები არ იქონიებენ გავლენას მდინარის კალაპოტზე, რომელიც 80 მეტრია. არაფერი იქონიებს გავლენას მდინარის კალაპოტზე, მასში თევზების მიგრაციაზე და გამრავლების ადგილებზე. ამასთანავე, კომპლექსური შეფასების თანახმად, რადგან პროექტი არ გულისხმობს რაიმე სახის ურთიერთქმედებას მდინარესთან, მდინარის კალაპოტის მორფოლოგია მის დაბალ მონაკვეთზე (რუსთავის მიმართულება) იქნება დაცული და არ მოხდება მასზე ზემოქმედება. კედლის ყველა ნაწილი, რომელსაც პირდაპირი კონტაქტი აქვს მდინარესთან იქნება ამოღებული და აღდგენილი იქნება მდინარის კალაპოტის თავდაპირველი დახრილობა. კედლის დანარჩენი ნაწილი შესაძლებელია დატოვებულ იქნას ადგილზე, თუ ჩავთვლით, რომ ისინი არ უშლიან ხელს მდინარის ბუნებრივ დინებას. მოხდა კოფერდამის ბუნებრივი ეროზია ზაფხულის გაზრდილი დინებისას და მდინარის ბუნებრივი დინება აღდგენილ იქნა.

43. CRP-მა მდინარის პირას გამოავლინა ცალკეული შემთხვევები, რომელთან დაკავშირებითაც მიღებულ იქნა ინფორმაცია ADB-დან. CRP აღნიშნავს, რომ ნახევრად აშენებული შემაკავებელი კედლის ნაწილების ამოღება წარმოადგენს შეთავაზებული გამოსასწორებელი აქტივობების ნაწილს, გზის გაფართოების ცვლილების შესაბამისად.

44. ADB-ის ინფორმაციით, აღარ მოხდა მდინარის ეკოლოგიის აღდგენის პროგრამის (აქტივობა 4.4) შემუშავება, რადგან პროექტი აღარ დამთავრება. დარჩენილი სამუშაოები, რომლებიც საჭიროა ადგილობრივი ჰაბიტატის აღსადგენად აღნიშნული იყო MDF-ის მიერ მომზადებულ კომპლექსური კვლევის ანგარიშში. ADB-ის ინფორმაციით, მდინარის ეკოლოგიის აღდგენის პროგრამის მეთოდოლოგია და დეტალები საბოლოო სახით შემუშავდა და წარედგინება CRP-ს შეფასებისა და შენიშვნებისთვის. CRP-ს სურს შემოთავაზებული სამოქმედო გეგმის შეფასება, მაშინ როცა ADB-ის მიერ მოხდება გაფართოების გეგმის ცვლილების დამტკიცება და CRP-თვის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმის წარდგენა შეფასებისა და შენიშვნებისთვის.

45. CRP ასევე იქნა ინფორმირებული, რომ ეროვნულ წითელ წიგნში (რომელიც წარმოადგენს მთავრობის ვალდებულებას ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით) შეყვანილი 57 ხე უკვე იქნა მოჭრილი და გატანილი ეროვნული ტყე-პარკიდან, გზის მშენებლობასთან

დაკავშირებით. ADB-ის ინფორმაციით, MDF-მა უკვე მიიღო ყველა საჭირო ნებართვა მუნიციპალიტეტის ორგანოებისგან, რომ მოახდინოს ხეების გადარგვა გამოყოფილ ადგილებში. CRP-ს სურს ხაზი გაუსვას თავის შემფოთებას ხის მოჭრადა და გადარგვას შორის არსებული დროის განსხვავებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ MDF-მა წინასწარ გადაიხადა ფულადი კომპენსაცია აღნიშნული ხეების მოჭრასთან დაკავშირებით, ეკოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელია რომ ხის გადარგვის სამუშაოები ჩატარდეს წინასწარ ან ხის მოჭრის თანადროულად ან პირველივე ხელსაყრელ სეზონზე. CRP-მა აღნიშნული საკითხი განიხილა ADB-ის მენეჯმენტთან და მოუწოდებს ADB-ის მენეჯმენტს შეიმუშაოს სტრატეგია, ხის გადარგვის სამუშაოები ჩატარდეს წინასწარ ან ხის მოჭრის თანადროულად ან პირველივე ხელსაყრელ სეზონზე.

46. CRP აღნიშნავს, რომ გაფართოებასთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი ცვლილებების გამო, მენეჯმენტის მე-4 აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით არანაირი მნიშვნელოვანი პროგრესი არ დაფიქსირებულა, ისევე როგორც არც CRP-ის პირველი მონიტორინგის ანგარიშის 47-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციის შესრულების კუთხით.

47. CRP-ის დასკვნა #4 აქტივობასთან შესაბამისობის შესახებ. CRP-ის დასკვნით, ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან. სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, უნდა შესრულდეს შემდეგი ღონისძიებები:

- i. სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს RAPFS-ის #4 აქტივობაში გაწერილ აქტივობებს, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ:

4.3 ანგარიშის პროექტის მოკლე მონახაზის თარგმნა ადგილობრივ ენაზე და გავრცელება და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა.

4.4 გარემოსდაცვითი მართვის განახლებული გეგმის (EMP) საფუძველზე შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც მოიცავს კონკრეტულ EMP-ს მდინარის ეკოსისტემაზე ზემოქმედების შესახებ და დამატებით შემამსუბუქებელ ღონისძიებებს მდინარის ეკოლოგიური ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით.

4.5 წვიმის წყლის დრენაჟის სისტემის დიზაინის გადასინჯვა, მდინარის წყლის დასაცავად, საგზაო შემთხვევების დროს. საგანგებო გეგმები მომზადდება, როგორც საიტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ნაწილი. წვიმის წყლის შემცველი აუზის მოცულობა უნდა მოიცავდეს სატვირთო მანქანის ერთი სრული ავზის მოცულობას.

- ii. ამასთან, ADB-მ სასურველია რომ დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 47-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები (როგორც ეს მოცემულია ქვემოთ)
- (i) *ADB-მ CRP-ს უნდა წარუდგინოს SSEMP და ეკოლოგიის აღდგენის გეგმამ შეფასებისა და შენიშვნებისათვის (აქტივობა 4.4 და 4.5). CRP აუცილებლად მიიჩნევს, რომ ეკოლოგიის აღდგენის გეგმაში გათვალისწინებული იქნას ადგილისთვის დამახასიათებელი დეტალები; აღდგენითი სამუშაოების მოცულობა; მონიტორინგი და ზედამხედველობა; მოსალოდნელი ხარჯები და შეთავაზებული პროგრამის ვადები.*
- (ii) *ADB-მ უნდა უზრუნველყოს ყველა შეთავაზებული აქტივობისა და ღონისძიების დროული იმპლემენტაცია, რომელიც წარმოადგენს EMP-ის ნაწილს. (აქტივობა 4.4.)*
- iii. ADB-მ CRP-ის შეფასებისა და კომენტარებისთვის უნდა წარადგინოს ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმა, SSEMP-თან ერთად, მდინარის აღდგენისა და გამოსასწორებელი აქტივობებისთვის, ასევე ადგილის დეტალური ინფორმაცია, მეთოდოლოგია, განხორციელების სტრატეგია და ასეთი სამოქმედო გეგმის განხორციელების ვადები.
- iv. ADB-მ CRP-ის შეფასებისა და კომენტარებისთვის უნდა წარადგინოს ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული, მათ შორის სავარაუდო მოცულობა, ხელახალი გამოყენების სტრატეგიები, განკარგვის გეგმები, საჭირო ადგილის დეტალებით, გარემოს უსაფრთხოების გარანტიები სამშენებლო მასალების ნაგავსაყრელისთვის.
- v. ADB-მ უნდა უზრუნველყოს, რომ ხეების დარგვის აქტივობები განხორციელდეს ხეების დარგვის სეზონზე და CRP ინფორმირებული უნდა იყოს აღნიშნული აქტივობების შესახებ, ხეების დარგვის სეზონის დასრულების შემდეგ.

ე. კონსულტაციები

შესაბამისობის სტატუსი: საანგარიშო პერიოდისთვის, ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან.

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა # 5: აქტივობა კონსულტაციების კუთხით არსებული ADB-ის შესაბამისობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში

5.7 კომუნიკაციების სპეციალისტი, პროექტის გუნდის ხელმძღვანელობით ამზადებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან დამატებითი, მნიშვნელოვანი და გამოზნული კონსულტაციების ჩატარების მეთოდოლოგიას (აღნიშნული აქტივობა ხორციელდება 3.2 აქტივობის პარალელურად).

5.8 კონსულტაციების გამართვა 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებში მითითებული ღონისძიებების შესაბამისად.

5.9 .3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებისთვის განხორციელებული კონსულტაციების ოქმები უნდა იქნას განხილული ADB-სა და MDF-ის მიერ და მიწოდებული CRP-თვის შენიშვნებისთვის.

5.10 შემდგომი კონსულტაციების დასკვნები უნდა მიეწოდოს CRP-ს.

(მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმისა და მენეჯმენტის გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტის ტექსტის სრულად სანახავად იხილეთ დანართი 1 და 2)

48. **CRP-ის დასკვნები #5 აქტივობის შესრულების შესახებ.** თავის პირველ მონიტორინგის ანგარიშში, CRP-მ წარმოადგინა კონკრეტული რეკომენდაციები, კონსულტაციების საკითხში მენეჯმენტის #5 აქტივობასთან შესაბამისობის მიღწევის კუთხით. CRP-ის მისიის დროს, ADB-მ და MDF-მ ინფორმაცია მიაწოდეს CRP-ს, რომ მოსახლეობა ინფორმირებული იყო RAP-FS-ის შესახებ, ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედების და ეკოლოგიური ზემოქმედების კვლევების საფუძველზე, რომელიც ჩატარებულ იქნა 2018 წელს. CRP ასევე ინფორმირებულ იქნა მთავრობის თხოვნის შესახებ, მოხდეს პროექტიდან ფონიჭალის მონაკვეთის ამოღება და შესაბამისად გზის გაფართოების გეგმის შეცვლა, არსებული გზის გამოყენების მიზნით. ADB-ს და MDF-ი ინფორმაციით, მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც წარმოდგენილია ბრძანებულების სახით, გაცნობილ იქნა მოსახლეობისთვის, სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ბეჭდვითი მედიის, ასევე ფონიჭალაში მცხოვრებ მოსახლეობასთან და მხედველობადაქვეითებულ პირებთან შეხვედრების მეშვეობით. MDF-მა ასევე აცნობა CRP-ის, რომ მასთან დაცულია აღნიშნული სტრუქტურირებული კონსულტაციების დამადასტურებელი ოქმები.

49. CRP-მ საიტ ვიზიტისას, 10 სექტემბერს ასევე გამართა დისკუსიები ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და მხედველობადაქვეითებულ პირებთან და აღნიშნავს, რომ მაცხოვრებლები ინფორმირებული იყვნენ მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ. ყველა მათგანს სურდა გაეგო ADB-ის გადაწყვეტილება მთავრობის თხოვნასთან დაკავშირებით და თუ რის საფუძველზე მოხდებოდა ADB-ის მიერ გადაწყვეტილების მიღება.

50. CRP-იმ თავის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშში უკვე აღნიშნა, რომ დაზარალებულ პირებთან კონსულტაციების სრულყოფა უნდა მოხდეს პროექტის საჩივრების

მართვის მექანიზმით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დაზარალებული პირებისთვის. თავის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშში 2018 წელს, CRP-მ მოგვანოდა MDF-ის დოკუმენტები საჩივრების მართვის მექანიზმებთან დაკავშირებით. 2019 წლის 10 სექტემბერს CRP-სა და მოსახლეობის შეხვედრისას, მოსახლეობამ ხაზი გაუსვა ADB –ის საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის კუთხით არსებულ სირთულეებს.

51. CRP-ის დასკვნები #5 აქტივობის შესრულების შესახებ. CRP-ის დასკვნით, ADB ნაწილობრივ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან. სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, უნდა შესრულდეს შემდეგი ღონისძიებები:

- (i) სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს RAPFS-ის #5 აქტივობაში გაწერილ აქტივობებს
- (ii) ამასთან, ADB-მ სასურველია რომ დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 51-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები (როგორც ეს მოცემულია ქვემოთ)
 - (i) *კონსულტაციების გამართვა 3.3 აქტივობისთვის (იხ პარაგრაფი 37,38 და 39);*
 - (ii) *მაცხოვრებლების ინფორმირება შერჩეული საბოლოო გადაწყვეტის შესახებ, უკვე წარმოდგენილი ხმაურის, ვიბრაციის და ეკოლოგიური ზემოქმედების კვლევების საფუძველზე;*
 - (iii) *მშენებლობის პროცესში პროექტის დაზარალებული პირების ჯგუფებთან მუდმივი კონსულტაციების გამართვა*

52. ამასთანავე რეკომენდირებულია, რომ ADB-ის მენეჯმენტს ჰქონდეს ეფექტური და ფუნქციონალური საჩივრების მართვის მექანიზმი და მოახდინოს მისი მუშაობის გადასინჯვა-შეფასება პროექტის მისიების დროს.

ვ. პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიზაცია

შესაბამისობის სტატუსი: პროექტის კატეგორიზაცია კვლავაც რჩება „B კატეგორია“, მაგრამ ADB-ის მენეჯმენტის მიერ მისი მონიტორინგი უნდა მოხდეს როგორც A კატეგორიის.

მენეჯმენტის აქტივობა # 6: აქტივობა კატეგორიზაციის კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში

53. CRP-ის რეკომენდაციით პროექტს უნდა მიენიჭოს გარემოს დაცვის A კატეგორია. 2017 წლის 30 ივნისს საბჭოს მიერ დამტკიცებული RAP-ით, პროექტის საბოლოო კატეგორია უნდა გადაწყდეს ყველა კვლევების დასრულების შემდეგ. 2018 ლის 3 მაისს დამტკიცებული საბოლოო გადაწყვეტის თანახმად, პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორია რჩება B, მაგრამ აღნიშნულია რომ ADB-ის მენეჯმენტის მიერ პროექტის მონიტორინგი უნდა მოხდეს როგორც გარემოსდაცვითი A კატეგორიის პროექტის.

54. ყოველწლიური მონიტორინგის მისიის დროს, CRP ინფორმირებულ იქნა, რომ ADB-ის ოპერაციების დეპარტამენტმა 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის სექტემბრამდე განახორციელა სესხის ზედამხედველობის ოთხი მისია, რომელიც შესაბამისობაშია მონიტორინგის პროტოკოლთან. მსგავსად, RAP-ის შესრულების ნახევარ-წლიური ანგარიშები მოიცავს 2018 წლის ივლის-დეკემბერს და 2019 წლის იანვარ-ივნისს, რომელიც CRP-ის მიერ მიღებულ იქნა 2019 წლის 7 თებერვალს და 6 აგვისტოს.

55. **CRP-ის დასკვნა #6 აქტივობის შესაბამისობასთან დაკავშირებით.** საანგარიშო პერიოდში ADB სრულ შესაბამისობაშია აღნიშნულ აქტივობასთან. ADB შეინარჩუნებს შესაბამისობას, მანამ სანამ იგი განახორციელებს სესხის ზედამხედველობის გარემოსდაცვით ასპექტებს და პროექტის შეფასებას A კატეგორიის გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.

VI. დასკვნა

56. CRP ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ახდენს გამოსასწორებელი აქტივობების განხორციელების შეჯამებას, მის მიერ პროექტის მეორე ყოველწლიური მონიტორინგის შედეგების საფუძველზე.

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის საკითხი	შეფასება მენეჯმენტს პროექტის სრულ შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით
ხმაურის ზემოქმედება	<p>შესაბამისობის სტატუსი: ნაწილობრივ შესაბამისობაშია</p> <p>სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს მენეჯმენტის #1 აქტივობაში გაწერილ აქტივობებს, რომელიც ეხება შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას; ხმაურის მონიტორინგის პროგრამის განხორციელებას გზის მშენებლობისა და ოპერირებისას; და ხმაურის ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებას კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ამასთან, ADB-მ სასურველია რომ დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 26-ე პარაგრაფში ხმაურის ზემოქმედების შემსუბუქების კუთხით მითითებული რეკომენდაციები.</p>

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის საკითხი	შეფასება მენეჯმენტს პროექტის სრულ შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით
	<i>(დეტალები იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 24-ე და 25-ე პუნქტებში)</i>
ვიზრაციის ზემოქმედება	<p>შესაბამისობის სტატუსი: ნაწილობრივ შესაბამისობაშია</p> <p>სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს აქტივობებს, რომელიც ეხება ვიზრაციის მონიტორინგის და შემსუბუქების ღონისძიებებს, კერძოდ საცხოვრებელი კორპუსების გაუმაგრებელი მორყეული ნაწილების (ცალკეული ნაწილები) მოხსნას და მიშენებების გამაგრებას გზის მშენებლობისას. ამასთან, ADB-მ სასურველია რომ დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 36-ე პარაგრაფში ვიზრაციის ზემოქმედების შემსუბუქების კუთხით მითითებული რეკომენდაციები, რომელიც ეხება ვიზრაციის შეფასებას, მონიტორინგსა და შემსუბუქებას, მათ ორის 28ა კორპუსის სიახლოვეს კლდის მოჭრით გამოწვეული ზემოქმედების შეფასებას და შემარბილებელი მიდგომისა და სტრატეგიების საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდეგ.</p> <p><i>(დეტალები იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 29-ე და 30-ე პუნქტებში)</i></p>
ზემოქმედება მოწყვლად ჯგუფებზე	<p>შესაბამისობის სტატუსი: ნაწილობრივ შესაბამისობაშია</p> <p>სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს აქტივობებს, რომელიც ეხება მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედების შესახებ გამართული კონსულტაციების შედეგების გასაჯაროებას და განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას, რომელსაც მოჰყვება ინტეგრირებული მიდგომა აღნიშნული პირების დაცვისათვის, როგორც გზის მშენებლობის ისე ოპერირებისას. ამასთან, ADB-მ სასურველია რომ დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 42-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები, რომელიც ეხება კონსულტაციის მონაცემების დამუშავებასა და გასაჯაროებას, რომელიც უნდა დაჩქარდეს და განხორციელდეს პროექტის ცვლილების დამტკიცებამდე, იმ შემთხვევაში თუ მოხდება პროცესის დაჩქარება.</p>

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის საკითხი	შეფასება მენეჯმენტს პროექტის სრულ შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით
	<i>(დეტალები იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 36-ე და 37-ე პუნქტებში)</i>
ზემოქმედება მდინარის ეკოლოგიაზე	<p>შესაბამისობის სტატუსი: ნაწილობრივ შესაბამისობაშია</p> <p>სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს აქტივობებს, რათა შესაბამისად გაავრცელოს მდინარის ეკოლოგიაზე ჩატარებული კვლევის შედეგები და განახლებული გარემოსდაცვითი გეგმის საფუძველზე განახორციელოს შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის წვიმის წყლის დრენაჟის დიზაინის გადასინჯვა, საგზაო ინცინდენტებისას მდინარის წყლის დასაცავად და აღნიშნულის გათვალისწინება კონკრეტული ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში (SSEMP). ამასთან, ADB-მ სასურველია რომ დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 26-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები, რომელიც ეხება SSEMP-სა და ეკოლოგიის აღდგენის გეგმის CRP-თვის წარდგენას და იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა აქტივობებისა და ღონისძიებების განხორციელება მოხდეს დროულად. ADB-მ CRP-ის შეფასებისა და კომენტარებისთვის უნდა წარადგინოს ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმა, SSEMP-თან ერთად, მდინარის აღდგენისა და გამოსასწორებელი აქტივობებისთვის, ასევე ადგილის დეტალური ინფორმაცია, მეთოდოლოგია, განხორციელების სტრატეგია და ასეთი სამოქმედო გეგმის განხორციელების ვადები. ADB-მ CRP-ის შეფასებისა და კომენტარებისთვის უნდა წარადგინოს ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული, მათ შორის სავარაუდო მოცულობა, ხელახალი გამოყენების სტრატეგიები, განკარგვის გეგმები, საჭირო ადგილის დეტალებით, გარემოს უსაფრთხოების გარანტიები სამშენებლო მასალების ნაგავსაყრელისთვის. ADB-მ უნდა უზრუნველყოს, CRP-ის ინფორმირება ხეების დარგვის აქტივობების დასრულების შესახებ.</p> <p><i>(დეტალები იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 47-ე პუნქტში)</i></p>
კონსულტაციები	<p>შესაბამისობის სტატუსი: ნაწილობრივ შესაბამისობაშია</p> <p>სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, განახლებული RAP-ის ADB-ის მიერ დამტკიცებისა და შემდგომი შეფასების შემდეგ, ADB განახორციელებს RAPFS-ის #5 აქტივობაში გაწერილ აქტივობებს. ამასთან, ADB-მ სასურველია რომ</p>

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის საკითხი	შეფასება მენეჯმენტს პროექტის სრულ შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით
	<p>დაიცვას CRP-ის პირველ ყოველწლიურ მონიტორინგის ანგარიშის 51-ე პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციები.</p> <p>ამასთანავე რეკომენდირებულია, რომ ADB-ის მენეჯმენტს ჰქონდეს ეფექტური და ფუნქციონალური საჩივრების მართვის მექანიზმი და მოახდინოს მისი მუშაობის გადასინჯვა-შეფასება პროექტის მისიების დროს.</p> <p><i>(დეტალები იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 51-ე და 52-ე პუნქტებში)</i></p>
პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიზაცია	<p>შესაბამისობის სტატუსი: სრულ შესაბამისობაშია</p> <p>ADB შეინარჩუნებს შესაბამისობას, მანამ სანამ იგი განახორციელებს სესხის ზედამხედველობის გარემოსდაცვით ასპექტებს და პროექტის შეფასებას A კატეგორიის გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.</p>

/ხელმოწერა/ დინდინგ ტანგი

თავმჯდომარე, შესაბამისობის ანალიზის პანელი

/ხელმოწერა/ აჟაი დემპანდი

წევრი ნახევარი განაკვეთით, შესაბამისობის ანალიზის პანელი

/ხელმოწერა/ ჰალინა ვარდი

წევრი ნახევარი განაკვეთით, შესაბამისობის ანალიზის პანელი

მანილა, ფილიპინები

11 ნოემბერი, 2019

მენეჯმენტის ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმა



პროექტის ნომერი: 42414-043

სესხის ნომერი: 3063

ივნისი 2017

**შეთავაზებული ხარვეზების გამოსასწორებელი
სამოქმედო გეგმა
საქართველო: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის
საინვესტიციო პროგრამა, ტრანში 3**

წინამდებარე დოკუმენტის გასაჯაროება მოხდება ADB-ის ვებ-გვერდზე, შესაბამისობის ანალიზის პანელის მიერ, მენეჯმენტის მხრიდან შეთავაზებულ გამოსასწორებელი ღონისძიებების შესახებ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (2012) შესაბამისად

აზიის განვითარების ბანკი

ნებისმიერი ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადების პროცესში, ან პროექტის დაფინანსებისას, ან წინამდებარე დოკუმენტში რაიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე ან გეოგრაფიულ არეალზე მინიშნებისა თუ მისი მოხსენიებისას, აზიის განვითარების ბანკი არ ისახავს მიზნად გააკეთოს რაიმე შეფასება ტერიტორიის ან არეალის ლეგალური ან სხვა სტატუსის შესახებ.

**L3063-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა (SUTIP)
ტრანში 3**

ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმა

1. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ADB-ის მენეჯმენტის მიერ შეთავაზებული ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმა („სამოქმედო გეგმა“), რომელიც წარდგენილია დირექტორთა საბჭოზე განსახილველად და დასამტკიცებლად, ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (2012) („AM პოლიტიკა“) 191 პუნქტის შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია შესაბამისობის ანალიზის პანელის („CRP“) შენიშვნები, რომელიც მიღებულ იქნა 2017 წლის 29 მაისს და რომელიც წარმოდგენილია მეორე დანართში. AM პოლიტიკის 190-ე პარაგრაფის შესაბამისად, აღმასრულებელ სააგენტოსთან სამოქმედო გეგმის გამოსასწორებელი აქტივობები შეთანხმებულ იქნა 2017 წლის 30 მაისს.

ა. შესავალი

2. შესაბამისობის ანალიზის პანელმა („CRP“) 2017 წლის 13 თებერვალს წარმოადგინა ზემოხსენებული პროექტის („პროექტი“) საბოლოო ანგარიში („CRP-ის ანგარიში“). CRP-იმ აზრის განვითარების ბანკი („ADB“) მიიჩნია მის ოპერაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან შეუსაბამოდ, ექვს ასპექტში: (i) ხმაურის ზემოქმედება, (ii) ვიბრაციის ზემოქმედება, (iii) ზემოქმედება მოწყვლად ჯგუფებზე, (iv) ზემოქმედება წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე, (v) კონსულტაციები, და (vi) პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიზაცია. ანგარიშის მიხედვით ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მიჩნეულია დამაკმაყოფილებლად.
3. პირველ დანართში წარმოდგენილია სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს აქტივობებსა და მათი განხორციელების ვადებს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროექტის შესაბამისობაში მოყვანა ADB-ის შესაბამის პოლიტიკასთან. მიუხედავად იმისა, რომ ADB-ის პასუხისმგებლობა ყველა საჭირო ღონისძიების გატარება პროექტის ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, აღნიშნული ღონისძიებების ‘ადგილზე’ გატარება მოხდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის („MDF“) - სესხის აღმასრულებელი სააგენტოს მიერ, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული სამოქმედო გეგმაში. იმპლემენტაციის მონიტორინგს განახორციელებს ADB.
4. ADB აფასებს მიმდინარე თანამშრომლობას MDF-თან, ADB-ის პოლიტიკასთან შეუსაბამობის აღმოფხვრის კუთხით განსახორციელებელი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული მიუთითებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა (MRDI) და MDF-ის მზაობას უზრუნველყონ ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ MRDI-სა და MDF-ის მხარდაჭერით, ADB შეძლებს სამოქმედო გეგმის ეფექტურად შესრულებად, განსაზღვრულ ვადებში.

ბ. მიდგომა და მეთოდოლოგია

5. CRP-ის ანგარიშის დასკვნების შესაბამისად, პროექტის კვლავ შესაბამისობაში მოსაყვანად, ADB და MDF გვთავაზობენ ინტეგრირებული მიდგომის¹⁰ განხორციელებას, რომელიც გულისხმობს ხმაურის, ვიბრაციის და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების დამატებით კვლევასა და სამიზნე კონსულტაციების ჩატარებას თემის დონეზე, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლად ჯგუფებზე. ხელსაყრელი გადაწყვეტის განსაზღვრისათვის აღნიშნული მიდგომა იქნება ინსტრუმენტული, ტექნიკურად მიზანშეწონილი, ხარჯების მხრივ ეფექტური და შესაბამისობაში იქნება ყველა სტანდარტთან. ზემოხსენებული კვლევების დასრულების შემდეგ განისაზღვრება რამდენიმე კონკრეტული სამოქმედო ღონისძიება. ADB და MDF მოახდენენ კვლევების შედეგების და ასევე მის დროს გამოვლენილი ალტერნატიული ვარიანტების განხილვასა და შეფასებას და განსაზღვრავენ კონკრეტულ გამოსასწორებელ აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფს პროექტის კვლავ შესაბამისობაში მოყვანას. განსაზღვრული გადაწყვეტილებები და აქტივობები, CRP-ის მეშვეობის მიწოდებული იქნება დირექტორთა საბჭოს შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოსათვის (BCRC). ზემოხსენებული აქტივობების ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმაში ჩართვამდე და მათ განხორციელებამდე, ADB და MDF მხედველობაში მიიღებენ BCRC-სა და CRC-ის შეხედულებებს. ასევე, როგორც ამას მოითხოვს ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადება, პროექტის მიმდინარეობისას ან იმ შემთხვევაში თუ პროექტში ცვლილებაა, უნდა გაგრძელდეს კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან. ყველა ანგარიშის მოკლე მიმოხილვა უნდა ითარგმნოს ადგილობრივ ენაზე, გავრცელდეს და მოხდეს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის დაზარალებულ პირებთან კონსულტაციების დროს მათი განხილვა. საბოლოო ანგარიშები გამოქვეყნდება ADB-სა და MDF-ის ვებ-გვერდებზე. მთავრობასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია **პირველ დანართში**, ხოლო შეთავაზებული აქტივობების განრიგი წარმოდგენილია **მეორე დანართში**. ADB უზრუნველყოფს დამატებითი კვლევების პროექტების CRP-თვის გაგზავნას, CRP-ის შეფასების მისაღებად, კვლევების შედეგების საბოლოო სახით წარმოდგენამდე. **მესამე დანართში** წარმოდგენილია აქტივობებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა.

გ. განხორციელების ვადები

6. შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა უნდა განხორციელდეს სამი (3) წლის განმავლობაში და დასრულდეს 2020 წლის ივნისში. აღნიშნულ პერიოდში, ADB და MDF: (i) მიაწვდიან CRP-ს შემდგომი კვლევების საბოლოო ანგარიშებს, როგორც ეს აღნიშნულია სამოქმედო გეგმაში; (ii) უზრუნველყოფენ აქტივობების შესრულების მუდმივ მონიტორინგს; (iii) ყოველი წლის ივნისსა და დეკემბერში წარუდგენენ CRP-ის ნახევარი წლის ანგარიშებს. CRP-თვის წარდგენილ ანგარიშში მოცემული იქნება

¹⁰ ინტეგრირებული მიდგომა გულისხმობს გადაწყვეტილების განსაზღვრას დამატებითი აქტივობების შედეგების საფუძველზე, იხილეთ ნაწილი დ. აღნიშნული ამ ეტაპზე გულისხმობს OCRP-ის დასკვნაში მითითებული 6 საკითხის გადაწყვეტას, მათი ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნული მოხდება OCRP-ის დასკვნაში მითითებული თითოეული ვარიანტის შესწავლით.

თითოეული ღონისძიების უახლესი სტატუსი, შესრულების კუთხით არსებული პროგრესი, ვადების მითითებით (მათ შორის ცვლილებების). აღნიშნული ნახერ-წლიური ანგარიშების ამოცანაა დაეხმაროს CRP-ს ADB-ის საბჭო წინაშე სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგსა და ანგარიშგებაში, AM პოლიტიკის 192-194 პუნქტების შესაბამისად. ზემოხსენებული შესრულების ანგარიშების გასაჯაროება მოხდება ADB-ის ვებ-გვერდზე. CRP-ის მონიტორინგის ანგარიშების გამოქვეყნება მოხდება ADB-ის ვებ-გვერდზე, AM პოლიტიკის მე-9 დანართის 3 (viii) პუნქტის შესაბამისად.

დ. განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები

7. როგორც აღნიშნულ იქნა ბ. ნაწილში, ADB-მ და MDF-მა მოახდინეს აქტივობების ინიცირება, რომელიც გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაში, რომლის მიზანია პროექტის შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული აქტივობები წარმოდგენილია შესწავლის, გამოკითხვისა და კვლევის ფორმით, კერძოდ:
 8. **ხმაურის ზემოქმედება:** ADB-მ განახორციელა პროექტის ხმაურის ზემოქმედების კვლევა, WHO-ის ხმაურის სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს ასახულია WB EHS-ის სახელმძღვანელოში. აღნიშნული კვლევის ფარგლებში დადგინდა გარემო ხმაურის საწყისი დონე, რომელსაც მოჰყვა მშენებლობის და ოპერირების პროცესში ხმაურის დონეების მოდელირება სხვადასხვა დროში, მომავალში, და სხვადასხვა სცენარის პირობებში, განსხვავებული შემარბილებელი მეთოდების გამოყენებით. ანგარიშში ხდება ოთხი ვარიანტის კვლევა, WHO-ის ხმაურის სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ასახულია WB EHS-ის სახელმძღვანელოში და რომელიც შესაძლებელია მიღწეულ იქნას: (i) რვა მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედლით და ხუთი შენობის ამოდებით (საცხოვრებელი კორპუსი 8, V, 12 Vგ, 16 ა/ზ და სასტუმრო); (ii) ცხრა მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედლით და ოთხი შენობის ამოდებით (საცხოვრებელი კორპუსი 8, V, 12 Vგ და 16 ა/ზ); (iii) ხუთი მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედლით და ხუთი შენობის ამოდებით (საცხოვრებელი კორპუსი 8, V, 12 Vგ და 16 ა/ზ); და (iv) ხუთი მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედლით და ხმაურისგან დამცავი გვირაბით. აღნიშნული კვლევის დასრულების თარიღია 2017 წლის ივნისი.
 9. **ვიბრაციის ზემოქმედება.** MDF-მა მოახდინა ვიბრაციის ზემოქმედების კვლევის ინიცირება. აღნიშნული კვლევის მეშვეობით მოხდება ფონიჭალაში მდებარე შენობების ძირითადი კარკასისა და მიშენებების (თვითნებური მიშენებები) ბუნებრივი სიხშირის გაზომვა, ვიბრაციის ზემოქმედების მოდელირება და ზემოქმედების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების რეკომენდირება. აღნიშნული კვლევა მოიცავს ვიბრაციის მოდელირებას ვიბრაციის ზემოქმედების კუთხით არსებული ცვლილებების საფუძველზე, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა ხმაურის შემარბილებელი სცენარებით და ასევე მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი შენობა-ნაგებობების ვიბრაციის შემამსუბუქებელ ღონისძიებებს. კვლევის ანგარიშის მეორე პროექტი მზად იქნება 2017 წლის ივნისში.
 10. **მიზნობრივი კონსულტაციები.** MDF-მა დაიწყო პროექტისთვის ყოვლისმომცველი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესი. MDF-ის მიერ მოხდა კომუნიკაციის

ეროვნული სპეციალისტის დაქირავება ზემოხსენებული სტრატეგიის შემუშავების მიზნით, რომელიც მოიცავს საპროექტო არეალში მიზნობრივ კონსულტაციებს, რომელიც ორიენტირებული იქნება მოწყვლად ჯგუფებზე, კერძოდ მხედველობადაქვეითებულ პირებზე. აღნიშნული კონსულტაციები წარმოადგენს ოჯახების გამოკითხვის, ფოკუს ჯგუფების დისკუსიების, ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუებისა და ღია შეხვედრების კომბინაციას და განხორციელდება ADB-ის ზედამხედველობით.

11. **მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება:** მოხდა მდინარის ეკოლოგიის სკრინინგისა და ზემოქმედების შეფასების კვლევის ინიცირება, პროექტისადმი მდინარის ეკოლოგიის სენსიტიურობის დასადგენად, ზემოქმედების შესაფარებლად და სავარაუდო შემარბილებელი ღონისძიებების დასაგეგმად. კვლევაში ჩართული ექსპერტების მიერ მოხდება მდინარიდან სინჯების აღება, შემოწმება, შესწავლა და ანალიზი.
12. **წვიმის წყლის დრენაჟი:** MDF ინჟინერ დიზაინერის მეშვეობით განიხილავს წვიმის წყლის დრენაჟის სისტემის შექმნას, საგზაო შემთხვევების დროს მდინარის წყლის დაცვის მიზნით. საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა მომზადდება როგორც კონკრეტული ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ნაწილი.

ე. შემდგომი ნაბიჯები

13. პირველ დანართში მითითებული აქტივობების განხორციელება შეთანხმებულია ADB-სა და MRDI/MDF-ს შორის, შეთავაზებული თარიღით.

დანართი 1

შეთავაზებული სამოქმედო გეგმა

შენიშვნა: ყველა განსაზღვრული თარიღი (თუ სხვაგვარად არაა მითითებული) წარმოადგენს შესაბამისი აქტივობის დასრულების თარიღს, კონკრეტული თვის ბოლომდე

1	აქტივობები ხმაურის ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში¹¹	განსაზღვრული თარიღი
1.1	ხმაურის ზემოქმედების კვლევა: ფონიჭალაში ხმაურის არსებული დონის დადგენა და განსხვავებული სცენარის ფარგლებში მოდელის განსაზღვრა, WHO-ის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, რომელიც ასახულია WB EHS-ის სახელმძღვანელოში.	აპრილი 2017 (დასრულებული)
1.2	ხმაურის ზემოქმედების კვლევის ანგარიშის შემუშავება, რომელიც შეფასებულია ADB-ის და MDF-ის მიერ და CRP-თვის გაზიარება შეფასების მიზნით.	მაისი 2017
1.3	ხმაურის ზემოქმედების შესამცირებელი ღონისძიებების შერჩევა, რომელიც პროექტს შესაბამისობაში მოიყვანს ADB-ის პოლიტიკასა და პროცედურებთან	ივნისი 2017
1.4	შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების დაწყება, რომელსაც მოჰყვება ინტეგრირებული მიდგომა	აგვისტო 2017
2	აქტივობები ვიბრაციის ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში¹²	განსაზღვრული თარიღი
2.1	ფონიჭალაში ძირითადი შენობებისა და მიშენებების ბუნებრივი სიხშირის შეფასება. პროექტით გამოწვეული ვიბრაციის ზემოქმედების მოდელის შემუშავება და რეკომენდაციები შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.	აპრილი 2017 (ეროვნული სიხშირის ღონისძიება დასრულებულია)
2.2	ADB-სა და MDF-ის მიერ განხილული ანგარიშის პროექტი შეფასებულ ბუნებრივ სიხშირესთან დაკავშირებით და მისი CRP-თვის მიწოდება.	აპრილი 2017 (დასრულებული)
2.3	შენიშვნებისთვის CRP-თვის ვიბრაციის ანგარიშის მეორე პროექტის გაგზავნა, მათ შორის ვიბრაციის ზემოქმედების შეფასება ძირითად შენობებსა და მიშენებებზე, იმ შემთხვევაში თუ მიშენებები დიდია.	ივნისი 2017
2.4	ვიბრაციის შემარბილებელი მიდგომის შემუშავება, რომელიც პროექტს მოიყვანს ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობაში.	ივნისი 2017

¹¹ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის ა დასკვნებთან

¹² აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის ბ დასკვნებთან

2.5	შემარბილებელი ღონისძიების განხორციელების დაწყება, რომელსაც თან სდევს ინტეგრირებული მიდგომა.	აგვისტო 2017
2.6	ეფექტური მონიტორინგის სისტემის მუშაობა მშენებლობის პროცესში და კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შემდეგი დებულებების გათვალისწინება: (i) ვიზრაციის მონიტორინგის სისტემის ადგილმდებარეობის გეგმა (სადირკველზე ვიზრაციის ზემოქმედების კარკასის შემოწმებისათვის, ბინების მაცხოვრებლებზე ზემოქმედების დასადგენად); (ii) ვიზრაციის მონიტორინგის მონაცემების ონლაინ ანალიზი (კარკასის შეფასებისათვის: DIN 4150-3; ხალხზე ზემოქმედებისათვის: DIN 4150-2); (iii) კრიტიკული დონეების განსაზღვრა (ადრეული სტადია, უკიდურესად მაღალი) გარკვეულ პირთა ჯგუფისათვის ავტომატური შეტყობინებების გასაგზავნად; (iv) სამოქმედო გეგმა ვიზრაციის უკიდურესად მაღალი დონის შემთხვევაში; და (v) ვიზრაციის მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ანგარიში.	მშენებლობის ფაზა
2.7	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე იმ შენობის გაუმარბილებელი მორყეული ნაწილების (ცალკეული ნაწილები) მოხსნა, რომელიც ექვემდებარება ვიზრაციის ზემოქმედების კვლევას	მშენებლობის დაწყებამდე
2.8	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მიშენებების შესაბამისად გამარბება.	მშენებლობის დაწყებამდე
3	აქტივობები მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში¹³	განსაზღვრული თარიღი
3.1	კომუნიკაციის ეროვნული კონსულტანტის დაქირავება.	მაისი 2017 (დასრულებული)
3.2	მოწყვლად პირებთან და ჯგუფებთან კონსულტაციების ჩატარებისათვის მეთოდოლოგიის მომზადება.	მაისი 2017
3.3	მოწყვლად ჯგუფებთან და პირებთან სამიზნე კონსულტაციების ჩატარება ზემოქმედების შეფასების მიზნით (i) მშენებლობის ფაზის დროს და (ii) ექსპლუატაციის ფაზის დროს.	ივნისი 2017
3.4	ანგარიშის პროექტის დასკვნების უნდა იქნას განხილული ADB-ის და MDF-ის მიერ და განსახილველად უნდა მიეწოდოს CRP-ს	ივლისი 2017

¹³ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის გ დასკვნებთან

3.5	ანგარიშის დასკვნები და შეთავაზებული ღონისძიებები უნდა იქნას ნათარგმნი ადგილობრივ ენაზე და მიწოდებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის.	ივლისი-აგვისტო, 2017
3.6	განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების (მათ შორის სოციალური დახმარების პროგრამა მხედველობადაქვეითებულებისთვის, მშენებლობის პერიოდში) და შემდგომ მოწყვლადი პირების დაცვის ინტეგრირებული მიდგომის იმპლემენტაცია (i) მშენებლობის და (ii) ექსპლუატაციის პერიოდში	მშენებლობის და ოპერირების ფაზები
4	აქტივობა წყალსა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში¹⁴	განსაზღვრული თარიღი
4.1	პირველადი კვლევის ჩატარება, ეკოლოგიური სკრინინგისა და ზემოქმედების შეფასების კვლევის ჩატარება პროექტის მშენებლობისა და ოპერირების ზემოქმედების დასადგენად მდინარეზე, განსაკუთრებით თევზების უნიკალურ ჯიშებზე.	აპრილი 2017
4.2	ანგარიშის პროექტის შეფასება ADB-სა და MDF-ის მიერ და შეფასებისათვის CRP-თვის მიწოდება.	ივნისი 2017
4.3	ანგარიშის მოკლე შინაარსის თარგმნა ადგილობრივ ენაზე, გავრცელება და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა	
4.4	გარემოსდაცვითი მართვის განახლებული გეგმის (EMP) საფუძველზე შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც მოიცავს კონკრეტულ EMP-ს მდინარის ეკოსისტემაზე ზემოქმედების შესახებ და დამატებით შემამსუბუქებელ ღონისძიებებს მდინარის ეკოლოგიური ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით.	მშენებლობის და ოპერირების ფაზები
4.5	წვიმის წყლის დრენაჟის სისტემის დიზაინის გადასინჯვა, მდინარის წყლის დასაცავად, საგზაო შემთხვევების დროს. საგანგებო გეგმები მომზადდება, როგორც საიტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ნაწილი. წვიმის წყლის შემცველი აუზის მოცულობა უნდა მოიცავდეს სატვირთო მანქანის ერთი სრული ავზის მოცულობას.	აგვისტო 2017
5	აქტივობა კონსულტაციების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში¹⁵	განსაზღვრული თარიღი
5.1	კომუნიკაციების სპეციალისტი, პროექტის გუნდის ხელმძღვანელობით ამზადებს სხვადასხვა	2017 წლის მაისიდან

¹⁴ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის დ დასკვნებთან

¹⁵ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის ე დასკვნებთან

	დაინტერესებულ მხარეებთან დამატებითი, მნიშვნელოვანი და გამიზნული კონსულტაციების ჩატარების მეთოდოლოგიას (აღნიშნული აქტივობა ხორციელდება 3.2 აქტივობის პარალელურად).	
5.2	კონსულტაციების გამართვა 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებში მითითებული ღონისძიებების შესაბამისად.	ივნისი 2017 (შემდეგ უწყვეტად)
5.3	1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებისთვის განხორციელებული კონსულტაციების ოქმები უნდა იქნას განხილული ADB-სა და MDF-ის მიერ და მიწოდებული CRP-თვის შენიშვნებისთვის.	ივლისი 2017
5.4	შემდგომი კონსულტაციების დასკვნები უნდა მიეწოდოს CRP-ს.	როგორც ცვლილების ნაწილი
6	აქტივობა გარემოსდაცვით კატეგორიზაციის კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში ¹⁶	განსაზღვრული თარიღი
	განისაზღვრება ყველა კვლევის დასრულების შემდეგ	

¹⁶ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის ვ დასკვნებთან

დანართი 3

სამოქმედო გეგმის ხარჯთაღრიცხვა
 აქტივობის სავარაუდო ხარჯი
 (აშშ დოლარის ექვივალენტი)

აქტივობა	სავარაუდო ხარჯი (აშშ დოლარის ექვივალენტი)
ხმაურის ზემოქმედების კვლევა	50,000 \$
ხმაურის ზემოქმედების შემარბილებელი გეგმის განხორციელება	განისაზღვრება შერჩეული ვარიანტის საფუძველზე
გარემოს ვიზრაციის კვლევა და დინამიკის განსაზღვრა და ვიზრაციის მოდელის განახლება	60,000 \$
ვიზრაციის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის განხორციელება	დამატებითი ხარჯი განისაზღვრება (სამოქალაქო სამუშაოების შესახებ კონტრაქტი უკვე მოიცავს თვითნებური მიშენებების გამოსწორების ღონისძიებებს)
ვიზრაციის მონიტორინგი	უკვე გათვალისწინებულია სამოქალაქო სამუშაოების შესახებ კონტრაქტში
კომუნიკაციის ექსპერტის ჩართვა მიზნობრივი და მნიშვნელოვანი კონსულტაციების განხორციელების მიზნით	35, 000 \$
მდინარის ეკოლოგიის სკრინინგი და ზემოქმედების შეფასება	20,000 \$
პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიზაცია	არანაირი დამატებითი ხარჯი
ADB-ის ან MDF-ის მიერ ტექნიკური დახმარების ჩართვა საჭიროების მიხედვით	300,000\$



წერილი

შესაბამისობის ანალიზი პანელი

CRP2017DT023

29 მაისი 2017

ვის: ვენჩაი ჟანგს

ვიცე-პრეზიდენტი (ოპერაციები 1)

ვისგან: დინგდინგ ტანგი

თავმჯდომარე, CRP-ის უფროსი, OCRP

საგანი: **ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის პროექტი - L3063-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა , ტრანში 3 – CRP-ის კომენტარები**

1. მაძლობას მოგახსენებთ თქვენი 2017 წლის 19 მაისის წერილისთვის და შესაბამისობის ანალიზის პანელისთვის (CRP) ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის გაზიარებისთვის და ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMP) 190-ე პუნქტის შესაბამისად ჩვენი კომენტარებისა და შენიშვნების მოთხოვნისათვის.
2. ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმასა და მის პირველ დანართთან დაკავშირებით ჩვენი კომენტარები წარმოდგენილია თანდართული მატრიცის სახით. მეორე დანართის განახლება უნდა მოხდეს ზემოხსენებული კომენტარების შესაბამისად. მეორე დანართს უნდა იქნას დამატებული ღონისძიებები, რომელიც CRP-ის მიერ განსაზღვრული იყო 2.6, 2.7 და 2.8 აქტივობისთვის. ეს ასევე გამოიწვევს ვადების გაზრდის და ასევე შეეხება მშენებლობის ფაზას. ამასთანავე, CRP-ის მიერ 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებში დასახელებული ღონისძიებები უნდა იქნას გათვალისწინებული მეორე დანართში მოცემულ აქტივობების ჩამონათვალში.

დანართი: კომენტარების მატრიცა

ასლები ეგზავნება: შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს თავმჯდომარეს; CWRD-ის გენერალურ დირექტორს; CWRD-ის გენერალურ დირექტორის მოადგილეს; SDCC-ის გენერალური დირექტორის მოადგილეს და ამავდროულად შესაბამისობის უფროს ოფიცერს, SDCC; OGC-ის გენერალურ მრჩეველს; ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორს, GRM

MFF0043: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა (SUTIP)
სესხი 3063 (SF)-GEO: SUTIP ტრანში 3

CRP-ის კომენტარები გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

მენეჯმენტის მიერ შეთავაზებული გამოსასწორებელი აქტივობები	CRP-ის კომენტარები
<p>ა. შესავალი</p> <ol style="list-style-type: none"> შესაბამისობის ანალიზის პანელმა („CRP“) 2017 წლის 13 თებერვალს წარმოადგინა ზემოხსენებული პროექტის („პროექტი“) საბოლოო ანგარიში („CRP-ის ანგარიში“). CRP-იმ აზიის განვითარების ბანკი („ADB“) მიიჩნია მის ოპერაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან შეუსაბამოდ, ექვს ასპექტში: (i) ხმაურის ზემოქმედება, (ii) ვიბრაციის ზემოქმედება, (iii) ზემოქმედება მოწყვლად ჯგუფებზე, (iv) ზემოქმედება წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე, (v) კონსულტაციები, და (vi) პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიზაცია. ანგარიშის მიხედვით ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მიჩნეულია დამაკმაყოფილებლად. პირველ დანართში წარმოდგენილია სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს აქტივობებსა და მათი განხორციელების ვადებს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროექტის შესაბამისობაში მოყვანა ADB-ის შესაბამის პოლიტიკასთან. მიუხედავად იმისა, რომ ADB-ის პასუხისმგებლობაა ყველა საჭირო ღონისძიების გატარება პროექტის ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, აღნიშნული ღონისძიებების ‘ადგილზე’ გატარება მოხდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის („MDF“) - სესხის აღმასრულებელი სააგენტოს მიერ, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული სამოქმედო გეგმაში. იმპლემენტაციის მონიტორინგს განახორციელებს ADB. ADB აფასებს მიმდინარე თანამშრომლობას MDF-თან, ADB-ის პოლიტიკასთან შეუსაბამობის აღმოფხვრის კუთხით განსახორციელებელი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული მიუთითებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა (MRDI) და MDF-ის მზაობას უზრუნველყონ ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ MRDI-სა და MDF-ის მხარდაჭერით, ADB შეძლებს სამოქმედო გეგმის ეფექტურად შესრულებად, განსაზღვრულ ვადებში. 	<p>აღნიშნული გამოსასწორებელი აქტივობა CRP-ის კომენტარებთან ერთად უნდა იქნას წარდგენილი საბჭოზე, შეფასებისა და განხილვისათვის.</p> <p>CRP აფასებს ADB-ის მზაობას განახორციელოს გამოსასწორებელი ღონისძიებები, რათა პროექტი მოყვანილ იქნას ADB-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. რადგან ვიბრაციისა და ხმაურის ზემოქმედების, ასევე მოწყვლად ჯგუფებსა და ეკოლოგიაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება დამოკიდებულია ჩასატარებელი კვლევებისა და კონსულტაციების შედეგებზე, CRP-თან კონკრეტული ღონისძიებების შეთანხმება მოხდება</p>

	კვლევებისა და კონსულტაციების დასრულების შემდეგ.
<p>ბ. მიდგომა და მეთოდოლოგია</p> <p>5. CRP-ის ანგარიშის დასკვნების შესაბამისად, პროექტის კვლავ შესაბამისობაში მოსაყვანად, ADB და MDF გვთავაზობენ ინტეგრირებული მიდგომის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს ხმაურის, ვიბრაციის და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების დამატებით კვლევასა და სამიზნე კონსულტაციების ჩატარებას თემის დონეზე, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლად ჯგუფებზე. ხელსაყრელი გადაწყვეტის განსაზღვრისათვის აღნიშნული მიდგომა იქნება ინსტრუმენტული, ტექნიკურად მიზანშეწონილი, ხარჯების მხრივ ეფექტური და შესაბამისობაში იქნება ყველა სტანდარტთან. ზემოხსენებული კვლევების დასრულების შემდეგ განისაზღვრება რამდენიმე კონკრეტული სამოქმედო ღონისძიება. ADB და MDF მოახდენენ კვლევების შედეგების და ასევე მის დროს გამოვლენილი ალტერნატიული ვარიანტების განხილვასა და შეფასებას და განსაზღვრავენ კონკრეტულ გამოსასწორებელ აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფს პროექტის კვლავ შესაბამისობაში მოყვანას. განსაზღვრული გადაწყვეტილებები და აქტივობები, CRP-ის მეშვეობის მიწოდებული იქნება დირექტორთა საბჭოს შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოსათვის (BCRC). ზემოხსენებული აქტივობების ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმაში ჩართვამდე და მათ განხორციელებამდე, ADB და MDF მხედველობაში მიიღებენ BCRC-სა და CRC-ის შეხედულებებს. ასევე, როგორც ამას მოითხოვს ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადება, პროექტის მიმდინარეობისას ან იმ შემთხვევაში თუ პროექტში ცვლილებაა, უნდა გაგრძელდეს კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან. ყველა ანგარიშის მოკლე მიმოხილვა უნდა ითარგმნოს ადგილობრივ ენაზე, გავრცელდეს და მოხდეს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის დაზარალებულ პირებთან კონსულტაციების დროს მათი განხილვა. საბოლოო ანგარიშები გამოქვეყნდება ADB-სა და MDF-ის ვებ-გვერდებზე. მთავრობასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია პირველ დანართში, ხოლო შეთავაზებული აქტივობების განრიგი წარმოდგენილია მეორე დანართში. ADB უზრუნველყოფს დამატებითი კვლევების პროექტების CRP-თვის გაგზავნას, CRP-ის შეფასების მისაღებად, კვლევების შედეგების საბოლოო სახით წარმოდგენამდე. მესამე დანართში</p>	<p>შეთავაზებული „ინტეგრირებული“ მიდგომის უკეთ აღქმისათვის, სამოქმედო გეგმაში უნდა იქნას განსაზღვრული „ინტეგრირებული მიდგომის“ მნიშვნელობა და თუ რა არის აღნიშნული მიდგომის საოპერაციო შესაბამისობა შერჩეულ გამოსასწორებელ ღონისძიებასთან მიმართებაში. CRP-ის ვარაუდით, აღნიშნული გულისხმობს, რომ ხმაურის ზემოქმედების შემცირებისთვის შერჩეული ვარიანტი, ასევე გავლენას ახდენს ვიბრაციის ზემოქმედების შემამსუბუქებელ აქტივობებზე და პირიქით. შესაბამისად, უნდა იქნას განმარტებული „ინტეგრირებული მიდგომის“ ოპერაციული შესაბამისობა.</p>

წარმოდგენილია აქტივობებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა.	
<p>გ. განხორციელების ვადები</p> <p>6. შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა უნდა განხორციელდეს სამი (3) წლის განმავლობაში და დასრულდეს 2020 წლის ივნისში. აღნიშნულ პერიოდში, ADB და MDF: (i) მიაწვდიან CRP-ს შემდგომი კვლევების საბოლოო ანგარიშებს, როგორც ეს აღნიშნულია სამოქმედო გეგმაში; (ii) უზრუნველყოფენ აქტივობების შესრულების მუდმივ მონიტორინგს; (iii) ყოველი წლის ივნისსა და დეკემბერში წარუდგენენ CRP-ის ნახევარი წლის ანგარიშებს. CRP-თვის წარდგენილ ანგარიშში მოცემული იქნება თითოეული ღონისძიების უახლესი სტატუსი, შესრულების კუთხით არსებული პროგრესი, ვადების მითითებით (მათ შორის ცვლილებების). აღნიშნული ნახერ-წლიური ანგარიშების ამოცანაა დაეხმაროს CRP-ს ADB-ის საბჭო წინაშე სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგსა და ანგარიშგებაში, AM პოლიტიკის 192-194 პუნქტების შესაბამისად. ზემოხსენებული შესრულების ანგარიშების გასაჯაროება მოხდება ADB-ის ვებ-გვერდზე. CRP-ის მონიტორინგის ანგარიშების გამოქვეყნება მოხდება ADB-ის ვებ-გვერდზე, AM პოლიტიკის მე-9 დანართის 3 (viii) პუნქტის შესაბამისად.</p>	<p>(i) ADB-იმ CRP-ის უნდა წარუდგინოს შესრულების ანგარიშები ყოველ ნახევარ წელიწადში, მანამ სანამ არ მოხდება გამოსასწორებელი აქტივობების დასრულება (3 წლამდე). გამოსასწორებელი აქტივობები უნდა აღმატებოდეს 2 წლიან ჩარჩოს, რადგან CRP-ს სურს გარკვეული ღონისძიებების დამატება, რომელიც უნდა განხორციელდეს მშენებლობის დაწყების შემდეგ (ასევე იხილეთ აქტივობების ღონისძიება 2.6, 2.7 და 2.8, დანართში 1)</p> <p>(ii) CRP-ის თხოვნით ანგარიშებისა და კომენტარების წარმოდგენა უნდა მოხდეს საბოლოო სახით შემუშავებამდე და CRP განიხილავს შერჩეული შემამსუბუქებელ ღონისძიებას.</p>
<p>დ. განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები</p> <p>7. როგორც აღნიშნულ იქნა ბ. ნაწილში, ADB-მ და MDF-მა მოახდინეს აქტივობების ინიცირება, რომელიც გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაში, რომლის მიზანია პროექტის შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული აქტივობები წარმოდგენილია შესწავლის, გამოკითხვისა და კვლევის ფორმით, კერძოდ:</p> <p>8. ხმაურის ზემოქმედება: ADB-მ განახორციელა პროექტის ხმაურის ზემოქმედების კვლევა, WHO-ის ხმაურის სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს ასახულია WB EHS-ის სახელმძღვანელოში. აღნიშნული კვლევის ფარგლებში დადგინდა გარემო ხმაურის საწყისი დონე, რომელსაც მოჰყვა მშენებლობის და ოპერირების პროცესში ხმაურის დონეების მოდელირება სხვადასხვა დროში, მომავალში, და სხვადასხვა სცენარის პირობებში, განსხვავებული შემარბილებელი მეთოდების გამოყენებით. ანგარიშში ხდება ოთხი ვარიანტის კვლევა, WHO-ის ხმაურის სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ასახულია WB EHS-ის სახელმძღვანელოში და რომელიც შესაძლებელია მიღწეულ იქნას: (i) რვა მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედლით და ხუთი შენობის ამოღებით (საცხოვრებელი კორპუსი 8, V, 12 Vგ, 16 ა/ზ და</p>	<p>CRP-თვის ანგარიშის პროექტის წარდგენა შეფასებისა და კომენტარებისთვის უნდა მოხდეს მისი საბოლოო სახით შემუშავებამდე და შემარბილებელი ღონისძიების შერჩევამდე. უნდა მოხდეს ანგარიშის სულ მცირე მოკლე მონახაზის თარგმნა ადგილობრივ ენაზე და გავრცელება და დაინტერესებულ მხარეებისთვის, განსაკუთრებით დაზარალებული პირებისთვის გაცნობა. საბოლოო ანგარიში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გასაჯაროებული ADB-ის</p>

<p>სასტუმრო); (ii) ცხრა მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედლით და ოთხი შენობის ამოღებით (საცხოვრებელი კორპუსი 8, V, 12 Vგ და 16 ა/ბ); (iii) ხუთი მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედლით და ხუთი შენობის ამოღებით (საცხოვრებელი კორპუსი 8, V, 12 Vგ და 16 ა/ბ); და (iv) ხუთი მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედლით და ხმაურისგან დამცავი გვირაბით. აღნიშნული კვლევის დასრულების თარიღია 2017 წლის ივნისი.</p>	<p>ვებგვერდზე და MDF-ის პროექტის ვებგვერდზე.</p>
<p>9. ვიზრაციის ზემოქმედება. MDF-მა მოახდინა ვიზრაციის ზემოქმედების კვლევის ინიცირება. აღნიშნული კვლევის მეშვეობით მოხდება ფონიჭალაში მდებარე შენობების ძირითადი კარკასისა და მიშენებების (თვითნებური მიშენებები) ბუნებრივი სიხშირის გაზომვა, ვიზრაციის ზემოქმედების მოდელირება და ზემოქმედების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების რეკომენდირება. აღნიშნული კვლევა მოიცავს ვიზრაციის მოდელირებას ვიზრაციის ზემოქმედების კუთხით არსებული ცვლილებების საფუძველზე, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა ხმაურის შემარბილებელი სცენარებით და ასევე მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი შენობა-ნაგებობების ვიზრაციის შემამსუბუქებელ ღონისძიებებს. კვლევის ანგარიშის მეორე პროექტი მზად იქნება 2017 წლის ივნისში.</p>	<p>(i) უნდა მოხდეს ვიზრაციის ზემოქმედების შეფასება შენობის ძირითად კარკასზე და მიშენებაზე, იმ შემთხვევაში თუ შენობებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ზომის მიშენებები. მხოლოდ ძირითადი კარკასზე ზემოქმედების შეფასება არ არის საკმარისი</p> <p>(ii) CRP-თვის უნდა მოხდეს კვლევის პროექტის მიწოდება, განხილვისა და კომენტარებისთვის, სანამ მოხდება მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბება.</p> <p>(iii) უნდა მოხდეს კვლევის პროექტის გასაჯაროება და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის, განსაკუთრებით კი მხედველობადაქვეითებული პირებისთვის გაცნობა. საბოლოო ანგარიში უნდა იქნას გამოქვეყნებული ADB-ისა და MDF-ის საიტებზე.</p>
<p>10. მიზნობრივი კონსულტაციები. MDF-მა დაიწყო პროექტისთვის ყოვლისმომცველი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესი. MDF-ის მიერ მოხდა კომუნიკაციის ეროვნული სპეციალისტის დაქირავება ზემოხსენებული სტრატეგიის შემუშავების მიზნით, რომელიც მოიცავს საპროექტო არეალში მიზნობრივ კონსულტაციებს, რომელიც ორიენტირებული იქნება მოწყვლად ჯგუფებზე, კერძოდ მხედველობადაქვეითებულ პირებზე. აღნიშნული კონსულტაციები წარმოადგენს ოჯახების გამოკითხვის, ფოკუს ჯგუფების დისკუსიების, ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუებისა და ღია შეხვედრების კომბინაციას და განხორციელდება ADB-ის ზედამხედველობით.</p>	<p>კონსულტაციების დაწყებამდე უნდა მოხდეს კომუნიკაციების სტრატეგიის CRP-თვის მიწოდება განსახილველად და კომენტარებისთვის. კონსულტაციების ოქმები უნდა იქნას შენახული და მონიტორინგისთვის უნდა იქნას მიწოდებული CRP-თ</p>

<p>11. მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება: მოხდა მდინარის ეკოლოგიის სკრინინგისა და ზემოქმედების შეფასების კვლევის ინიცირება, პროექტისადმი მდინარის ეკოლოგიის სენსიტიურობის დასადგენად, ზემოქმედების შესაფარებლად და სავარაუდო შემარბილებელი ღონისძიებების დასაგეგმად. კვლევაში ჩართული ექსპერტების მიერ მოხდება მდინარიდან სინჯების აღება, შემოწმება, შესწავლა და ანალიზი.</p>	<p>საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე ანგარიში უნდა იქნას CRP-თვის მიწოდებული განსახილველად და კომენტარებისთვის. საბოლოო ანგარიში უნდა იქნას გამოქვეყნებული ADB-ისა და MDF-ის საიტებზე.</p>
<p>12. წვიმის წყლის დრენაჟი: MDF ინჟინერ დიზაინერის მეშვეობით განიხილავს წვიმის წყლის დრენაჟის სისტემის შექმნას, საგზაო შემთხვევების დროს მდინარის წყლის დაცვის მიზნით. საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა მომზადდება როგორც კონკრეტული ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ნაწილი.</p>	<p>პროექტი უნდა იქნას CRP-თვის მიწოდებული განსახილველად.</p>
<p>შემდგომი ნაბიჯები 13. პირველ დანართში მითითებული აქტივობების განხორციელება შეთანხმებულია ADB-სა და MRDI/MDF-ს შორის, შეთავაზებული თარიღით.</p>	<p>გასაგებია.</p>

დანართი 1

შეთავაზებული სამოქმედო გეგმა

შენიშვნა: ყველა განსაზღვრული თარიღი (თუ სხვაგვარად არაა მითითებული) წარმოადგენს შესაბამისი აქტივობის დასრულების თარიღს, კონკრეტული თვის ბოლომდე

1	აქტივობები ხმაურის ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში ¹	განსაზღვრული თარიღი	CRP-ის კომენტარები
1.1	<p>ხმაურის ზემოქმედების კვლევა: ფონიჭალაში ხმაურის არსებული დონის დადგენა და განსხვავებული სცენარის ფარგლებში მოდელის განსაზღვრა, WHO-ის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, რომელიც ასახულია WB EHS-ის სახელმძღვანელოში.</p>	აპრილი 2017 (დასრულებული)	გასაგებია.
1.2	<p>ხმაურის ზემოქმედების კვლევის ანგარიშის შემუშავება, რომელიც შეფასებულია ADB-ის და MDF-ის მიერ და CRP-თვის გაზიარება შეფასების მიზნით.</p>	მაისი 2017	CRP-თვის ანგარიშის პროექტის წარდგენა შეფასებისა და კომენტარებისთვის უნდა მოხდეს მისი საბოლოო სახით შემუშავებამდე.
1.3	<p>ხმაურის ზემოქმედების შესამცირებელი ღონისძიებების შერჩევა, რომელიც პროექტს შესაბამისობაში მოიყვანს ADB-ის პოლიტიკასა და პროცედურებთან</p>	ივნისი 2017	<p>CRP-ის აზრით, აღნიშნული უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ხმაურის ზემოქმედების შემარბილებელი მიდგომის შერჩევა, უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობაში მოყვანას ADB-ის პოლიტიკასა და მოთხოვნებთან“.</p> <p>საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე CRP-თან კონსულტაციების გავლა ხმაურის ზემოქმედების შემარბილებელი მიდგომის შერჩევასთან დაკავშირებით.</p> <p>ანგარიშის მოკლე მიმოხილვის თარგმნა ადგილობრივ ენაზე, გავრცელება და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებისთვის, განსაკუთრებით მხედველობადაქვეითებული</p>

¹ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის ა დასკვნებთან

			პირებისთვის გაცნობა საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე. საბოლოო ანგარიშის განთავსება ADB-ისა და MDF-ის ვებ-გვერდებზე.
1.4	შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების დაწყება, რომელსაც მოჰყვება ინტეგრირებული მიდგომა	აგვისტო 2017	
2	აქტივობები ვიზრაციის ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში¹	განსაზღვრული თარიღი	
2.1	ფონიჭალაში ძირითადი შენობებისა და მიშენებების ბუნებრივი სიხშირის შეფასება. პროექტით გამოწვეული ვიზრაციის ზემოქმედების მოდელების შემუშავება და რეკომენდაციები შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.	აპრილი 2017 (ეროვნული სიხშირის ღონისძიება დასრულებულია)	ვიზრაციის ზემოქმედება უნდა იქნას მოდელირებული, როგორც შენობის მთავარი კარკასის, ისე მიშენების შემთხვევაში, თუ მიშენება მნიშვნელოვანი ზომისაა.
2.2	ADB-სა და MDF-ის მიერ განხილული ანგარიშის პროექტი შეფასებულ ბუნებრივ სიხშირესთან დაკავშირებით და მისი CRP-თვის მიწოდება.	აპრილი 2017 (დასრულებული)	CRP-თვის ანგარიშის პროექტის წარდგენა შეფასებისა და კომენტარებისთვის
2.3	შენიშვნებისთვის CRP-თვის ვიზრაციის ანგარიშის მეორე პროექტის გაგზავნა, მათ შორის ვიზრაციის ზემოქმედების შეფასება ძირითად შენობებსა და მიშენებებზე, იმ შემთხვევაში თუ მიშენებები დიდია.	ივნისი 2017	(i) საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე ვიზრაციის ანგარიშის პროექტის CRP-თვის წარდგენა კომენტარებისა და შეფასებისათვის. (ii) ვიზრაციის ზემოქმედება უნდა იქნას შეფასებული როგორც შენობის მთავარი კარკასის, ისე მიშენების შემთხვევაში, თუ მიშენება მნიშვნელოვანი ზომისაა. (iii) ანგარიშის მოკლე მიმოხილვის თარგმნა ადგილობრივ ენაზე, გავრცელება და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებისთვის, განსაკუთრებით მხედველობადაქვეითებული პირებისთვის გაცნობა საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე. საბოლოო ანგარიშის განთავსება ADB-ისა და MDF-ის ვებ-გვერდებზე.

¹ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის ბ დასკვნებთან

2.4	ვიზრაციის შემარბილებელი მიდგომის შემუშავება, რომელიც პროექტს მოიყვანს ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობაში.	ივნისი 2017	CRP- გთავაზობთ შემდეგ ვორდინგს: „ხმაურის ზემოქმედების შემარბილებელი მიდგომის შერჩევა, უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობაში მოყვანას ADB-ის პოლიტიკასა და მოთხოვნებთან“. გთხოვთ, განმარტეთ „შემდგომი ინტეგრირებული მიდგომა“?
2.5	შემარბილებელი ღონისძიების განხორციელების დაწყება, რომელსაც თან სდევს ინტეგრირებული მიდგომა.	აგვისტო 2017	CRP გთავაზობთ 2.6 -2.8 აქტივობის ღონისძიებების დამატებას შემოთავაზებული განრიგის შესაბამისად (წინამდებარე მატრიცის მე-3 სვეტი). 2.6. ეფექტური მონიტორინგის სისტემის მუშაობა მშენებლობის პროცესში და კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შემდეგი დებულებების გათვალისწინება: (vi) ვიზრაციის მონიტორინგის სისტემის ადგილმდებარეობის გეგმა (სამირკველზე ვიზრაციის ზემოქმედების კარკასის შემოწმებისათვის, ბინების მაცხოვრებლებზე ზემოქმედების დასადგენად); (vii) ვიზრაციის მონიტორინგის მონაცემების ონლაინ ანალიზი (კარკასის შეფასებისათვის: DIN

			<p>4150-3; ხალხზე ზემოქმედებისათვის: DIN 4150-2);</p> <p>(viii) კრიტიკული დონეების განსაზღვრა (ადრეული სტადია, უკიდურესად მაღალი) გარკვეულ პირთა ჯგუფისათვის ავტომატური შეტყობინებების გასაგზავნად;</p> <p>(ix) სამოქმედო გეგმა ვიზრაციის უკიდურესად მაღალი დონის შემთხვევაში; და</p> <p>(x) ვიზრაციის მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ანგარიში.</p> <p>2.9 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე იმ შენობის გაუმაგრებელი მორყეული ნაწილების (ცალკეული ნაწილები) მოხსნა, რომელიც ექვემდებარება ვიზრაციის ზემოქმედების კვლევას</p> <p>2.10 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მიშენებების შესაბამისად გამაგრება.</p>
3	<p>აქტივობები მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში¹</p>		
3.1	<p>კომუნიკაციის ეროვნული კონსულტანტის დაქირავება.</p>	<p>მაისი 2017 (დასრულებული)</p>	<p>გასაგებია</p>
3.2	<p>მოწყვლად პირებთან და ჯგუფებთან კონსულტაციების ჩატარებისათვის მეთოდოლოგიის მომზადება.</p>	<p>მაისი 2017</p>	<p>კონსულტაციების დაწყებამდე უნდა მოხდეს კონსულტაციების მეთოდოლოგიის CRP-თვის</p>

¹ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის გ დასკვნებთან

			გაცნობა შეფასებისა და კომენტარებისათვის.
3.3	მოწყვლად ჯგუფებთან და პირებთან სამიზნე კონსულტაციების ჩატარება ზემოქმედების შეფასების მიზნით (i) მშენებლობის ფაზის დროს და (ii) ექსპლუატაციის ფაზის დროს.	ივნისი 2017	ტექსტი უნდა იყოს მოცემული შემდეგი სახით: „მიზნობრივი კონსულტაციების ჩატარება მოწყვლად ჯგუფებთან და პირებთან ზემოქმედების შესაფასებლად (i) მშენებლობის ფაზის დროს, და (ii) ოპერირების დროს.” ორივე მშენებლობისა და ოპერირების ფაზების სპეციფიკაცია მნიშვნელოვანია რადგან ზემოქმედება მკაფიოდ იქნება აღქმული განსაკუთრებით მოწყვლადი პირების მიერ მშენებლობის ფაზის დროს.
3.4	ანგარიშის პროექტის დასკვნების უნდა იქნას განხილული ADB-ის და MDF-ის მიერ და განსახილველად უნდა მიეწოდოს CRP-ს	ივლისი 2017	გასაგებია.
3.5	ანგარიშის დასკვნები და შეთავაზებული ღონისძიებები უნდა იქნას ნათარგმნი ადგილობრივ ენაზე და მიწოდებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის.	ივლისი-აგვისტო, 2017	CRP გთავაზობთ 3.5-ის ჩანაცვლებას „ანგარიშის დასკვნები და შეთავაზებული ღონისძიებები უნდა ითარგმნოს ადგილობრივ ენაზე, გავრცელდეს და გაცნობილ იქნას დაზარალებული პირებისთვის”. ამასთანავე, CRP გთავაზობთ 3.5-ისა და 3.6 გადაადგილებას და მის ჩამოყალიბებას შემდეგი სახით: „განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება მოწყვლადი პირების დასაცავად (i) მშენებლობის ეტაპზე და (ii) ოპერირების ეტაპზე.”
3.6	განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების (მათ შორის სოციალური დახმარების პროგრამა მხედველობადაქვეითებულებისთვის, მშენებლობის პერიოდში) და შემდგომ მოწყვლადი პირების დაცვის ინტეგრირებული მიდგომის იმპლემენტაცია (i) მშენებლობის და (ii) ექსპლუატაციის პერიოდში	მშენებლობის და ოპერირების ფაზები	

4	აქტივობა წყალსა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში ¹		
4.1	პირველადი კვლევის ჩატარება, ეკოლოგიური სკრინინგისა და ზემოქმედების შეფასების კვლევის ჩატარება პროექტის მშენებლობისა და ოპერირების ზემოქმედების დასადგენად მდინარეზე, განსაკუთრებით თევზების უნიკალურ ჯიშებზე.	აპრილი 2017	საბაზისო კვლევის ჩატარება და ეკოლოგიური სკრინინგის და ზემოქმედების შეფასების კვლევის ჩატარება პროექტის მშენებლობისა და ოპერირების ზემოქმედების დასადგენად მდინარეზე, კერძოდ თევზის უნიკალურ ჯიშებზე.
4.2	ანგარიშის პროექტის შეფასება ADB-სა და MDF-ის მიერ და შეფასებისათვის CRP-თვის მიწოდება.	ივნისი 2017	<p>CRP-თვის ანგარიშის პროექტის მიწოდება შეფასებისა და კომენტარებისთვის</p> <p>CRP გთავაზობთ შემდეგი აქტივობის დამატებას.</p> <p>4.3 ანგარიშის პროექტის მოკლე მონახაზის თარგმნა ადგილობრივ ენაზე და გავრცელება და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა.</p> <p>4.4 საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.</p>
4.3	ანგარიშის მოკლე მიმოხილვის თარგმნა ადგილობრივ ენაზე, გავრცელება და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებისთვის გაცნობა		<p>აღნიშნული უკვე გახდება 4.5</p> <p>არსებული 4.3-თვის შემდეგი კონკრეტიკის დამატება (რომელიც საბოლოოდ გახდება 4.5): წვიმის წყლის შემცველი აუზის მოცულობა უნდა მოიცავდეს სატვირთო მანქანის ერთი სრული ავზის მოცულობას.</p>
5	აქტივობა კონსულტაციების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში ²		CRP-ის აზრით კონსულტაციები უნდა გაიმართოს 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებში მითითებული ღონისძიებების შესაბამისად და მნიშვნელოვანი კონსულტაციები უნდა გაიმართოს კონკრეტული კვლევებისა და შემარბილებელი

¹ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის დ დასკვნებთან

² აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის ე დასკვნებთან

			ღონისძიებების შემდეგ.	განსაზღვრის
5.1	კომუნიკაციების სპეციალისტი, პროექტის გუნდის ხელმძღვანელობით ამზადებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან დამატებითი, მნიშვნელოვანი და გამიზნული კონსულტაციების ჩატარების მეთოდოლოგიას (აღნიშნული აქტივობა ხორციელდება 3.2 აქტივობის პარალელურად).	2017 წლის მაისიდან	კონსულტაციების დაწყებამდე უნდა მოხდეს CRP-ის მიერ 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობების ფარგლებში მნიშვნელოვანი კონსულტაციების განსახორციელებელი შეთავაზებული მეთოდოლოგიის განხილვა და კომენტირება.	
5.2	კონსულტაციების გამართვა 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებში მითითებული ღონისძიებების შესაბამისად.	ივნისი 2017 (შემდეგ უწყვეტად)	CRP გთავაზობთ დამატებულ იქნას „1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებში მითითებული ღონისძიებების შესაბამისად“.	
5.3	1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებისთვის განხორციელებული კონსულტაციების ოქმები უნდა იქნას განხილული ADB-სა და MDF-ის მიერ და მიწოდებული CRP-თვის შენიშვნებისთვის.	ივლისი 2017	CRP გთავაზობთ შემდეგ ვორდინგს: 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობების ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩატარებული კონსულტაციების ოქმები უნდა იქნას განხილული ADB-სა და MDF-ის მიერ და კომენტარებისთვის უნდა იქნას მიწოდებული CRP-თვის.	
5.4	შემდგომი კონსულტაციების დასკვნები უნდა მიეწოდოს CRP-ს.	როგორც ცვლილების ნაწილი	გასაგებია.	
6	აქტივობა გარემოსდაცვით კატეგორიზაციის კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში ¹			
	განისაზღვრება ყველა კვლევის დასრულების შემდეგ		გასაგებია.	

¹ აღნიშნული თანხვედრაშია CRP-ის ანგარიშის ვ დასკვნებთან

მენეჯმენტის ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტა
L3063-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა (SUTIP)
ტრანში 3

ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტა¹

¹ წინამდებარე ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმაში - საბოლოო გადაწყვეტა გათვალისწინებულია CRP-გან და BCRC-გან მიღებული კომენტარები

1. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის საბოლოო გადაწყვეტა („სამოქმედო გეგმა“), რომელიც შესაბამისობის ანალიზის პანელის მიერ წარდგენილია დირექტორთა საბჭოს შესაბამისობის ანალიზის პანელის კომიტეტის საბჭოზე განსახილველად. აზიის განვითარების ბანკი (ADB) და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF) - სესხის აღმასრულებელი სააგენტო, გაითვალისწინებენ BCRC-სა და CRC-ის შეხედულებებს აღნიშნული აქტივობების გამოსასწორებელ სამოქმედო გეგმაში საბოლოოდ შეტანამდე. აღმასრულებელი სააგენტოს მიერ საბოლოო გამოსასწორებელი აქტივობების სამოქმედო გეგმის დამტკიცება მოხდა 2017 წლის 12 დეკემბერს.
2. აქტივობების კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა მოხდება ტექნიკური კვლევების დასრულების შემდეგ. ADB-მ და MDF-მა განიხილეს და შეაფასეს კვლევების შედეგები და გამოვლენილი ალტერნატიული ვარიანტები. განსაზღვრული გამოსასწორებელი ღონისძიებები წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობაში მოყვანას. ქვემოთ წარმოდგენილია განსაზღვრული გადაწყვეტები და აქტივობები.

ა. შესავალი

3. CRP-იმ 2017 წლის 13 თებერვალს წარმოადგინა ზემოხსენებული პროექტის („პროექტი“) საბოლოო ანგარიში („CRP-ის ანგარიში“). CRP-იმ აზიის განვითარების ბანკი მიიჩნია მის ოპერაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან შეუსაბამოდ, ექვს ასპექტში: (i) ხმაურის ზემოქმედება, (ii) ვიბრაციის ზემოქმედება, (iii) ზემოქმედება მოწყვლად ჯგუფებზე, (iv) ზემოქმედება წყლისა და მდინარის ეკოლოგიაზე, (v) კონსულტაციები, და (vi) პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიზაცია. ანგარიშის მიხედვით ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მიჩნეულია დამაკმაყოფილებლად.
4. ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (2012) (AM პოლიტიკა) 191-ე პარაგრაფის შესაბამისად, ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმა 2017 წლის 7 ივნისს გაეგზავნა დირექტორთა საბჭოს, ხოლო სამოქმედო გეგმის შესწორება 2017 წლის 29 ივნისს. დირექტორთა საბჭოს მიერ სამოქმედო გეგმის დამტკიცება მოხდა 2017 წლის 30 ივნისს. სამოქმედო გეგმის მეხუთე პუნქტის შესაბამისად, ADB-მ საბოლოო გეგმის BCRC-თვის განსახილველად წარდგენა უნდა მოახდინოს CRP-ის მეშვეობით.
5. ADB აფასებს მიმდინარე თანამშრომლობას MDF-თან, ADB-ის პოლიტიკასთან შეუსაბამობის აღმოფხვრის კუთხით განსახორციელებელი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული მიუთითებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა (MRDI) და MDF-ის მზაობას უზრუნველყონ ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ MRDI-სა და MDF-ის მხარდაჭერით, ADB შეძლებს სამოქმედო გეგმის ეფექტურად შესრულებად, განსაზღვრულ ვადებში.

ბ. განხორციელებული აქტივობები და შესწორებები

6. ADB-იმ და MDF-მა მოახდინეს იმ ქმედებების ინიცირება, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობაში მოყვანას და გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაში.

პირველ დანართში მოცემულია ინიცირებული ქმედებების მოკლე მონახაზი და მათი ამჟამინდელი სტატუსი. ყველა კვლევა დასრულებულია და ანგარიშები მიწოდებულია CRP-თვის შეფასებისათვის და კომენტარები გასაჯაროებულია. შესწავლის, გამოკითხვებისა და კვლევების შედეგები და შენობებზე ზემოქმედება წარმოდგენილია მეორე დანართში და მოკლედ მოცემულია ქვემოთ:

7. **ხმაურის ზემოქმედება:** ხმაურის ზემოქმედების შესწავლა მოხდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ხმაურის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად, როგორც ეს ასახულია მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით, ჯანდაცვის და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპებში (EHS-ის სახელმძღვანელო პრინციპები). კვლევის ფარგლებში მოხდა ყოვლისმომცველი საბაზისო გარემო ხმაურის დადგენა, რომელსაც მოჰყვა ხმაურის დონეების მოდელირება პროექტის მშენებლობისა და ოპერირების ეტაპებზე მომავლის სხვადასხვა დროისა და სცენარის მიხედვით, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა შემარბილებელ მეთოდებს. ოპერირების ეტაპისათვის ანგარიში გვთავაზობს ოთხ ვარიანტს, რომლითაც შესაძლებელია მიღწეულ იქნას შესაბამისობა WHO-ის სტანდარტებთან, რომელიც ასევე ასახულია EHS სახელმძღვანელო პრინციპებში: (i) მაქსიმუმ 8 მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედელი (კედელი 1: 988 მ x 6მ და კედელი 2: 640 მ x 8 მ) და ხუთი შენობის დანგრევა (საცხოვრებელი კორპუსი 8, V, 12 Vგ, 16 ა/ბ და სასტუმრო); მაქსიმუმ 9 მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედელი (კედელი 1: 1,120 მ X 6მ, კედელი 2: 240 მ X 8მ და კედელი 3: 268 მ X 9მ და ოთხი შენობის დანგრევა (საცხოვრებელი კორპუსი 8, V, 12 Vგ, 16 ა/ბ); (iii) მაქსიმუმ 5 მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედელი (კედელი 1: 1, 628მ X 5მ), გზის ზედაპირის გაუმჯობესება და ხუთი შენობის დანგრევა (საცხოვრებელი კორპუსი 8, V, 12 Vგ, 16 ა/ბ) და (iv) ხუთი მეტრი სიმაღლის ხმაურისგან დამცავი კედელი (კედელი 1: 880 მ X 5მ, და კედელი 2: 188 მ X 8მ) ხმაურისგან დამცავი გვირაბით (სიგრძე: 560 მ, სიგანე: 29.5 მ და სიმაღლე: 5 მ). ანგარიში გთავაზობს მშენებლობის პერიოდში დროებითი ხმისგან დამცავი ბარიერები განთავსებას მთელს სამუშაო არეალზე.
8. **ქმედებები:** როგორც ADB-ის ისე MDF-ის მხრიდან ადგილობრივ მოსახლეობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური კონსულტაციების შემდეგ, ყველაზე ეფექტურ ქმედებად მიჩნეულ იქნა 5 მეტრიანი ხმაურისგან დამცავი კედლის აშენება, რომელიც აკმაყოფილებს WHO-ის ხმაურის სტანდარტებს და უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობაში დაბრუნებას. აღნიშნული გადაწყვეტა მოახდენს არსებულ კონტრაქტში გათვალისწინებული ხმაურისგან დამცავი ბარიერის შეცვლას (654.8 მეტრი სიგრძისა და 5-ან 3 მეტრამდე სიმაღლის, ლოკაციის მიხედვით) ერთი გვირაბითა და ხმაურისგან დამცავი კედლებით. გვირაბი იქნება 560 მეტრი სიგრძის, დაფარავს ორივე სავალ გზას და ორი ხმაურისგან დამცავი კედელი, ერთი 5 მეტრი სიმაღლის და 880 მეტრი სიგრძის და მეორე 8 მეტრი სიმაღლისა და 188 მეტრი სიგრძის კედელი. კედლების მთლიანი ფართობი ჯამში დაახლოებით 46%-ით ნაკლები იქნება იმ ხმაურისგან დამცავი კედლისგან. როგორც შეთავაზებული იყო თავდაპირველად, აღნიშნულ მონაკვეთზე დასაშვები სიჩქარე იქნება 80 კმ/სთ. დამატებითი ხარჯი იქნება არსებულ კონტრაქტში მე-11 დებულების დამატება, არანაირი იძულებითი განსახლებით და არანაირი დამატებით დროით სამუშაოების შესასრულებლად.

9. **ვიზრაციის ზემოქმედება:** MDF-მა დაასრულა ვიზრაციის ზემოქმედების კვლევის ორი ეტაპი. პირველი კვლევით მოხდა ფონიჭალაში ბუნებრივი სიხშირეების დადგენა შენობის ძირითადი კარკასისა და უნებართვო მიშენებების შემთხვევაში. მეორე კვლევაში მოხდა ვიზრაციის მოდელირება ბუნებრივი სიხშირეებისა და ვიზრაციის ზემოქმედების საფუძველზე, რომელიც შესაძლოა გამოწვეულ იქნას სხვადასხვა ხმაურისგან დამცავი შემარბილებელი ღონისძიებების მშენებლობით. ანგარიშის დასკვნით, ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვიზრაციის ზემოქმედება უფრო დაბალია ვიდრე UNI 9916-ით (იტალიური კრიტერიუმი ვიზრაციის გასაზომად და შენობებზე მისი ზემოქმედების შესაფასებლად) ან საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის (ISO) 4866-ით განსაზღვრული დონეები შენობებისა და მათი მიშენებებისთვის. ანგარიში იძლევა რეკომენდაციას: (i) მოხდეს კონტრაქტორისათვის მითითებების მიცემა იურიდიულ ვალდებულებასთან ერთად, რომ მკაცრად მოხდეს მშენებლობის მეთოდისა და ხელსაწყო-დანადგარების ჩამონათვალის და კონტრაქტით გათვალისწინებული სამშენებლო საზღვრების დაცვა; (ii) მიშენებების გამაგრება, თავდაპირველ კვლევაში განსაზღვრული გამაგრებითი სამუშაოების საინჟინრო პროექტის სრული დაცვით; და (iii) მოსახლეობის ჩართულობით ყველა შენობის ტექნიკური დათვალიერების ჩატარება.
10. **ქმედებები:** ADB და MDF მუდმივად დააკვირდებიან ვიზრაციის ზემოქმედებას მშენებლობის ეტაპზე ელექტრონული ლაზერული აქსელერომეტრის გამოყენებით, იმ სამოქმედო პროგრამის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს პროცედურას ვიზრაციების გადაჭარბების შემთხვევაში. პროგრამა განხორციელდება ძირითადი დაინტერესებული მხარეების მათ შორის, მაცხოვრებლების მონაწილეობით. როგორც შეთავაზებული იყო პირველადი კვლევითა და განახლებული ტექნიკური კვლევით, ყველა შენობაში მიღებული იქნება უსაფრთხოების ზომები მიშენებების გამაგრების მიზნით. ხელშეკრულებაში არსებული დებულებები და მათი რაოდენობა შეიცვლება, რომ მასში მოხდეს ცხრავე კორპუსის გათვალისწინება, აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მიშენებების გამაგრებამდე მოხდება უსაფრთხოების ინსტრუქციები გაცემა ყველა მაცხოვრებლისთვის.
11. **მიზნობრივი კონსულტაციები:** MDF-მა და ADB-მ დაასრულეს კონსულტაციები ფონიჭალაში მოწყვლად მოსახლეობასთან, რათა შეესწავლათ და განესაზღვრათ ზემოქმედების შემარბილებელი შესაძლო ღონისძიებები. აღნიშნულ ძალისხმევას ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა კომუნიკაციის სპეციალისტი (ეროვნებით ქართველი), რომელიც დაქირავებულ იქნა MDF-ს მიერ, ADB-ის მჭიდრო ზედამხედველობით. კონსულტაციების მეთოდოლოგიის კუთხით შეთავაზება მოიცავდა: (i) ინდივიდუალურ ინტერვიუებს ოჯახებთან; (ii) მიზნობრივი ფოკუს ჯგუფების დისკუსიებს; და (iii) ღია საჯარო კონსულტაციებს დაზარალებული მოსახლეობის მახლობლად მდებარე ლოკაციაზე. მოსახლეობას ესაუბრნენ პროექტის მშენებლობისა და ოპერირების ფაზების მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, ასევე მათი ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოწვევების და დამატებით კვლევების შედეგად გამოვლენილი შესაძლო შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ. კონსულტაციები გაიმართა წინასწარ დაგეგმილ დროზე გვიან, მეთოდოლოგიის

დამტკიცების შეფერხებისა და ზაფხულის არდადეგებისას მოსახლეობის მოუცლელობის გამო.

12. ინდივიდუალური ინტერვიუები ოჯახებთან: სულ 75 ოჯახში გამოვლენილი იქნა 95 მხედველობადაქვეითებული პირი, ხოლო ხვა მოწყვლად კატეგორიაში გამოვლენილ იქნა 71 ოჯახი, კერძოდ (ა) სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირები, რომლებსაც 65000 სარეიტინგო ქულაზე დაბალი აქვთ მინიჭებული საქართველოს მთავრობის სოციალურად დახმარების სარეიტინგო სისტემაში (36 ოჯახი); (ბ) იძულებით გადაადგილებული პირები (IDO-ები) და ლტოლვილები (5 ოჯახი); (გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ავადმყოფი პირები (9 ოჯახი). მხედველობადაქვეითებული და სხვა დაუცველი ოჯახების იდენტიფიცირება მოხდა: ა) 9 საცხოვრებელი კორპუსის კარდაკარ გამოკითხვის პრინციპით; (ბ) უსინათლოთა კავშირის მიერ მოწოდებული მხედველობადაქვეითებულ პირთა სიით; გ) 9 საცხოვრებელი კორპუსის თავმჯდომარეების მიერ მოწოდებული სიით. აღნიშნული იდენტიფიცირებული ოჯახების მისამართები და რაოდენობა კორპუსების მიხედვით მოცემულია მეორე დანართში. მხოლოდ 19 მხედველობადაქვეითებული პირი ცხოვრობს მდინარის პირას და შეთავაზებული გზის მიმდებარედ. დანარჩენი მოსახლეობა ცხოვრობს ძველი გზის პირას ან მის მოპირდაპირედ.
13. ოჯახების ინდივიდუალური ინტერვიუები დაიწყო 2017 წლის მაისში და დასრულდა 2017 წლის სექტემბერში. მიუხედავად იმისა, რომ მიზანი იყო ყველა მხედველობადაქვეითებული პირის გამოკითხვა, მოხდა მხოლოდ 87%-თან გასაუბრება. ზოგიერთმა მათგანმა უარი განაცხადა პროცესში მონაწილეობაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის, სახლში არყოფნის ან სხვა მიზეზების გამო. სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის შემთხვევაში მიზანი იყო 25%-ის გამოკითხვა, თუმცა მოხდა 67%-თან გასაუბრება. გამოიკითხა IDP-ების ოთხმოდარვა პროცენტი (88%). სხვა მოწყვლადი ოჯახების 100% იქნა გამოკითხული. გამოყენებული იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმატი, მთელი რიგი სახელმძღვანელო კითხვებით და მოსაზრების დასადგენად, ხოლო დამატებითი კითხვები დაისვა მიღებული კონკრეტული პასუხების საფუძველზე.
14. ფოკუს ჯგუფის დისკუსიები: სხვადასხვა კატეგორიის მოწყვლად ჯგუფთან ფოკუს ჯგუფის დისკუსიები (FGD) გაიმართა ფონიჭალაში, 2017 წლის სექტემბერში. მოწყვლადი მოსახლეობის ადვილად გადაადგილებისა და შეხვედრისთვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, FGD-ები გაიმართა ფონიჭალაში მდებარე უსინათლოთა კავშირის კულტურულ ცენტში. საერთო ჯამში მოეწყო ხუთი FGD შემდეგ მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფებთან: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირები (65000 სარეიტინგო ქულის დაბლა), მხედველობადაქვეითებული პირები (ორი FGD), IDP-ები/დევნილები/შშმპ და ქალთა მიერ დომინირებული ოჯახები. თითოეული FGD-ის მოდერატორი იყო კომუნიკაციების სპეციალისტი. შეხვედრის მონაწილეებს შეხვდნენ ADB-ის წარმომადგენლები, ინდივიდუალური გამოკითხვების შედეგებთან, ხმაურისა და ვიზრაციის ზემოქმედების დამატებით ტექნიკურ კვლევასა და მდინარის ეკოლოგიის შესწავლასთან დაკავშირებით. მოხდა აღნიშნული კვლევების გამოვლენილი შემარბილებელი ღონისძიებების განხილვა.

15. FGD-ებისას მხედველობადაქვეითებულ მონაწილეებს თხოვეს ესაუბრათ მათი ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ. მონაწილეების მიერ დასახელებულ იქნა ისეთი პრობლემები, როგორცაა შიდა გზებისა და ტროტუარების ცუდი მდგომარეობა, დრენაჟის სისტემის გაუმართაობა, გადატვირთული მოძრაობა (მომველებული, გადატვირთული ავტობუსები) და მიწისქვეშა გადასასვლელისა და რამდენიმე, ხმოვანი სიგნალის მქონე შუქნიშნის დამატების აუცილებლობა. შეთავაზებულ პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობამ გამოთქვა განსხვავებული მოსაზრებები. ზოგიერთი თავაზობდა მათ განსახლებას, ხოლო ზოგიერთი არა. ისინი ვინც განსახლების წინააღმდეგი იყო აცხადებდნენ, რომ ისინი მიჩვეულნი არიან არსებულ მეგობრულ გარემოს, კარგად იცნობენ მეზობლებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩენენ დახმარებას. მათი აზრით რთული იქნება სადმე სხვაგან ცხოვრება. მონაწილეებმა ისაუბრეს თავიანთი შემფოთების შესახებ ახალი გზით გამოწვეული ხმაურისა და ვიბრაციის შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით და გამოთქვეს შიში, რომ შენობები შესაძლოა დაინგრეს. ექსპერტის მიერ განმარტებულ იქნა, რომ ლაზერული აქსელერომეტრის საშუალებით, რომელიც დამონტაჟდება დასახელებულ კორპუსებში, მოხდება ვიბრაციის დონის ცვლილებების ადვილად განსაზღვრა.
16. ჯამში 9 კორპუსის რამდენიმე მაცხოვრებელს აქვს განსახლების სურვილი, ძირითადად ხმაურისა და ვიბრაციის კუთხით არსებული შემფოთების გამო. თუმცა განსახლებასთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრი მნიშვნელოვნად განსხვავდება. 8 კორპუსში 65 მხედველობადაქვეითებულ პირთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს რომ მხედველობადაქვეითებული მოსახლეობის მნიშვნელოვან რაოდენობას (46%) გარკვეული ეჭვები გააჩნიათ და ყოყმანობენ განსახლებასთან დაკავშირებით, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ პროცესი იქნება რთული და სტრესული. მხოლოდ 15%-ს სურს უპირობო განსახლება, ხოლო 19%-ს მიაჩნია, რომ პროექტის გაუქმება იქნება ყველაზე მისაღები შედეგი. მოსახლეობის 9 პროცენტმა თავი შეიკავა საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან.
17. **ქმედებები:** მოსახლეობის მოთხოვნები პროექტთან მიმართებაში განსხვავდება. მოწყვლადი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სურს პროექტის გაუქმება, ხოლო სხვები ფიქრობენ, რომ პროექტი გააუმჯობესებს ხალხის, განსაკუთრებით კი მხედველობადაქვეითებული და მოწყვლადი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. კონკრეტული მოთხოვნები ეხება ფონაქალაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, უფრო მეტი ხმოვანი სიგნალის მქონე შუქნიშნების დამატებას, ფუნქციონალური მიწისქვეშა გადასასვლელების გაკეთებას, ტროტუარებისა და შიდა გზების, დრენაჟის სისტემისა და ავტობუსების გაჩერებების გაუმჯობესებას და მხედველობადაქვეითებული და შშმ პირებისთვის ადაპტირებული საჯარო ტრანსპორტის დამატებას, სარეკრეაციო ზონისა და პარკების შექმნას ფონიქალაში და გზებზე ხმაურისგან დამცავი ბარიერების დამონტაჟებას.
18. **ღია საჯარო კონსულტაციები:** 2018 წლის 17-20 ნოემბერს MDF-მა და ADB-მ ჩაატარეს რამდენიმე ღია საჯარო შეხვედრა 9 საცხოვრებელი კორპუსის მოსახლეობასთან. ორი შეხვედრა ჩატარდა 9 საცხოვრებელი კორპუსის მოსახლეობასთან, ხოლო ერთი

შეხვედრა გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO-ები) წარმომადგენლებთან. წინასწარ მოხდა ყველა ტექნიკური კვლევის გასაჯაროება. MDF-ის ვებგვერდზე მოხდა სრული ტექნიკური ანგარიშების ინგლისურ ენაზე და მათი მოკლე მონახაზების ქართულ ენაზე გასაჯაროება 2017 წლის 10 და 13 ნოემბერს. ორივე ენაზე დაბეჭდილი ტექნიკური ანგარიშების შეხვედრის მონაწილეებისთვის მიწოდება მოხდა წინასწარ. საჯარო განხილვებზე 9-ვე კორპუსის მოსახლეობის მოწვევა მოხდა წინასწარ, მათ ვინც ვერ შეძლო 2017 წლის 17 ნოემბრის შეხვედრაზე მოსვლა შესთავაზეს 2017 წლის 20 ნოემბრის შეხვედრაზე დასწრება.

19. სამივე ღია საჯარო შეხვედრაში ჯამში მონაწილეობა მიიღო 67 ადამიანი - 37 პირი 17 ნოემბრის შეხვედრაზე და 28 პირი 20 ნოემბრის 2 შეხვედრაზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი CSO-ს წარმომადგენლებმა: უსინათლოთა კავშირი, დედამიწის მეგობრები/მწვანეთა მოძრაობა, REC-Caucasus და მწვანე ალტერნატივა. MDF-მა უზრუნველყო მოსახლეობის ტრანსპორტირება შეხვედრის ადგილამდე და უკან ფონიჭალაში.
20. საჯარო შეხვედრების დროს, ADB-იმ და MDF-მა წარმოადგინეს ტექნიკური კვლევების ძირითადი დასკვნები, მათ შორის მოწვევად პირებთან გამართული მიზნობრივი კონსულტაციების შედეგები და განმარტეს შეთავაზებული გადაწყვეტა, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობაში მოყვანას ADB-ის პოლიტიკასთან (გასაჯაროებული ტექნიკური დოკუმენტებისთვის იხილეთ დანართი 6). პრეზენტაციას მოჰყვა ფართო დისკუსიები, რომლის დროსაც მოხდა კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების, მონიტორინგის მოთხოვნებისა და გარანტიების განხილვა. ორივე შეხვედრისას მოსახლეობის მიერ დასმული ძირითადი შეკითხვები და პრობლემები ეხებოდა: (i) გზას, ხმაურის ბარიერებს/გვირაბსა და კორპუსებს შორის ზუსტ მანძილს; (ii) კორპუსებისა და მიშენებების უსაფრთხოებას მშენებლობის პროცესში (მაგ. მძიმე ტექნიკის გამოყენება, სამშენებლო მეთოდები, მდინარეში გზის შესვლის სიგანე); (iii) ხმაურის ბარიერებისა და გვირაბის დიზაინს (მაგ. ბარიერების/გვირაბის სიმაღლე, რა რაოდენობის დღის სინათლეს მიიღებს კორპუსები); (iv) პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი გაუმჯობესებებს, ფონიჭალაში მცხოვრები მხედველობადაქვეითებული და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის; (v) ხმაურისგან დამცავი კედლებისა და გვირაბის ღირებულებას 9 კორპუსის მაცხოვრებლების განსახლების ღირებულებასთან შედარებით; (vi) მოსახლეობისთვის დისკომფორტის გამოწვევის კომპენსირებას, როგორცაა ახალი ფანჯრები, კონდიციონერები, ან სხვა სახის ვალდებულებები; (vii) პროექტში მხედველობადაქვეითებული პირებისა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებას; (viii) უნებართვო მიშენებებისა და აივნების გამაგრებას. შეხვედრების ოქმებში გათვალისწინებულია კითხვა-პასუხები. მონაწილეების მიერ შეთავაზებულ იქნა შემდგომი შეხვედრების ჩატარების შესაძლებლობა, კონკრეტული საკითხების განსახილველად.
21. **მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება:** მოხდა მდინარის ეკოლოგიის სკრინინგისა და ზემოქმედების შეფასების კვლევის ჩატარება პროექტისადმი მდინარის ეკოლოგიის სენსიტიურობის დასადგენად, ზემოქმედების შესაფარებლად და სავარაუდო

შემარბილებელი ღონისძიებების დასაგეგმად. კვლევა ჩატარდა კვალიფიციური ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. ანგარიშის დასკვნაში ნათქვამია, რომ პროექტის ზემოქმედება მდინარე მტკვრის ეკოსისტემაზე იქნება მინიმალური. თუმცა მდინარის ეკოლოგიური კვლევა არ ასკვნის, რომ ღონის დაწევის შემთხვევაში მდინარე მტკვარი კვლავაც განხილულ იქნება ბუნებრივ ჰაბიტატად. შესაბამისად, ADB-ის SPS-ის მოთხოვნების შესასრულებლად, მოხდება კონკრეტული ადგილის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) მომზადება დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებებით, მდინარის ეკოლოგიური კვლევის ანგარიშის დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე. ამასთან, ბუნებრივ ჰაბიტატზე მცირე უარყოფითი ზემოქმედების შერბილების მიზნით მოხდება ჰაბიტატის აღდგენა მდინარის ნაპირის გასწვრივ, პარკების მიმდებარედ დამატებითი გამრავლების ადგილების შექმნით.

22. **ქმედებები:** მშენებლობის დაწყების შემდეგ, ADB და MDF ყურადღებით დააკვირდებიან პროექტს, რათა უზრუნველყოფილ იქნას EMP-სა და მდინარის ეკოლოგიურ ანგარიშში განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებებისა შესრულება. მონიტორინგი ასევე ორიენტირებული იქნება იმ მონაცემების შეგროვებაზე, რომელიც ადასტურებს პროექტის სტანდარტებთან, ადგილობრივ კანონმდებლობასა და EMP-ის დებულებებთან შესაბამისობას. ამასთან, ADB და MDF აქტიურად ითანამშრომლებენ ინჟინერ-დიზაინერებთან რათა შექმნან ჰაბიტატების გამრავლების ადგილები, რომელიც ინტეგრირებული იქნება საერთო პარკების სივრცესთან, რომელიც უკვე დაპროექტებულია.
23. **პროექტის კატეგორიზაცია:** ზემოხსენებულის საფუძველზე პროექტით გამოწვეული გარემოსდაცვითი ზემოქმედება დადასტურებულად ჯდება პროექტის საზღვრებში, წინასწარ განსაზღვრულია, ექვემდებარება შემარბილებელ ღონისძიებებს და შექცევადია. შესაბამისად, პროექტის გარემოსდაცვით კატეგორიზაცია რჩება უცვლელი.

გ. დასკვნა

24. როგორც ADB-მ ისე MDF-მა განიხილეს და შეაფასეს კვლევის შედეგები და გამოვლენილი ალტერნატიული ვარიანტები და დაზარალებულ მოსახლეობასთან გამართეს მნიშვნელოვანი კონსულტაციები. მიღწეულ იქნა კონსენსუსი, რომ წარმოდგენილი გამოსასწორებელი ღონისძიებები წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ საშუალებას პროექტის შესაბამისობის აღსადგენად. განსაზღვრული გადაწყვეტა გაზრდის პროექტის ხარჯებს დაახლოებით 18.5 მილიონი აშშ დოლარით. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება მოხდება სამოქალაქო სამუშაოების კონტრაქტის დანაზოგებიდან და გამოუყენებელი თანხებიდან. აღნიშნული გადაწყვეტა არ გაზრდის მშენებლობის დროს.

დ. განხორციელების ვადები

25. შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა უნდა განხორციელდეს სამი (3) წლის განმავლობაში და დასრულდეს 2020 წლის ივნისში (იხილეთ დანართი 3). აღნიშნულ პერიოდში, ADB და MDF მიაწვდიან CRP-ს შემდგომი კვლევების საბოლოო ანგარიშებს, როგორც ეს აღნიშნულია ხარვეზების გამოსწორების სამოქმედო გეგმაში.

ე. შემდგომი ნაბიჯები

26. განხორციელება დაიწყება დირექტორთა საბჭოს BCRC-ის მიერ საბოლოო გადაწყვეტის განხილვის დასრულების შემდეგ.

ხარვეზების გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმის სტატუსი
შენიშვნა: ყველა განსაზღვრული თარიღი (თუ სხვაგვარად არაა მითითებული) წარმოადგენს
შესაბამისი აქტივობის დასრულების თარიღს, კონკრეტული თვის ბოლომდე

1	აქტივობები ხმაურის ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში	განსაზღვრული თარიღი	სტატუსი
1.1	ხმაურის ზემოქმედების კვლევა: ფონიჭალაში ხმაურის არსებული დონის დადგენა და განსხვავებული სცენარის ფარგლებში მოდელის განსაზღვრა, WHO-ის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, რომელიც ასახულია WB EHS-ის სახელმძღვანელოში.	აპრილი 2017 (დასრულებული)	დასრულებული
1.2	ხმაურის ზემოქმედების კვლევის ანგარიშის შემუშავება, რომელიც შეფასებულია ADB-ის და MDF-ის მიერ და CRP-თვის გაზიარება შეფასების მიზნით.	მაისი 2017	დასრულებული
1.3	ხმაურის ზემოქმედების შესამცირებელი ღონისძიებების შერჩევა, რომელიც პროექტს შესაბამისობაში მოიყვანს ADB-ის პოლიტიკასა და პროცედურებთან	ივნისი 2017	დასრულებული
1.4	შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების დაწყება, რომელსაც მოჰყვება ინტეგრირებული მიდგომა	აგვისტო 2017	დასრულებული
1.5	ხმაურის მონიტორინგის პროგრამის შემუშავება და იმპლემენტაცია მშენებლობისა და ოპერირების ეტაპზე (სულ მცირე გზის ოპერირების დაწყებიდან 3 წლის განმავლობაში)	ივნისი 2018 (მიუთითეთ დაწყების თარიღი)	ივნისი 2021 (მიუთითეთ მშენებლობის დამთავრებიდან 3 წელი)
1.6	პროექტის მშენებლობის პერიოდში, კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეძები დებულებების გათვალისწინება: - სამუშაო საათების განსაზღვრა ორშაბათიდან პარასკევამდე დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე; - ხმაურის დროებითი ბარიერების დაყენება სამშენებლო ადგილებში, რომელიც მდებარეობს საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ	მაისი 2018 (მიუთითეთ დაწყების თარიღი)	დეკემბერი 2019 (მიუთითეთ მშენებლობის დასრულების თარიღი)
2	აქტივობები ვიბრაციის ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში	განსაზღვრული თარიღი	სტატუსი
2.1	ვიბრაციის ზემოქმედების კვლევა: ფონიჭალაში ძირითადი შენობებისა და მიშენებების ბუნებრივი სიხშირის შეფასება. პროექტით გამოწვეული ვიბრაციის ზემოქმედების მოდელების შემუშავება და რეკომენდაციები შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.	აპრილი 2017 (ეროვნული სიხშირის ღონისძიება დასრულებულია)	დასრულებული

2.2	ADB-სა და MDF-ის მიერ განხილული ანგარიშის პროექტი შეფასებულ ბუნებრივ სიხშირესთან დაკავშირებით და მისი CRP-თვის მიწოდება.	აპრილი 2017 (დასრულებული)	დასრულებული
2.3	შენიშვნებისთვის CRP-თვის ვიზრაციის ანგარიშის მეორე პროექტის გაგზავნა, მათ შორის ვიზრაციის ზემოქმედების შეფასება ძირითად შენობებსა და მიშენებებზე, იმ შემთხვევაში თუ მიშენებები დიდია.	ივნისი 2017	დასრულებული
2.4	ვიზრაციის შემარბილებელი მიდგომის შერჩევა, რომელიც პროექტს მოიცავს ADB-ის პოლიტიკასთან შესაბამისობაში.	ივნისი 2017	დასრულებული
2.5	შემარბილებელი დონისძიების განხორციელების დაწყება, რომელსაც თან სდევს ინტეგრირებული მიდგომა.	აგვისტო 2017	დასრულებული
2.6	ეფექტური მონიტორინგის სისტემის მუშაობა მშენებლობის პროცესში და კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შემდეგი დებულებების გათვალისწინება: (i) ვიზრაციის მონიტორინგის სისტემის ადგილმდებარეობის გეგმა (საძირკველზე ვიზრაციის ზემოქმედების კარკასის შემოწმებისათვის, ბინების მაცხოვრებლებზე ზემოქმედების დასადგენად); (ii) ვიზრაციის მონიტორინგის მონაცემების ონლაინ ანალიზი (კარკასის შეფასებისათვის: DIN 4150-3; ხალხზე ზემოქმედებისათვის: DIN 4150-2); (iii) კრიტიკული დონეების განსაზღვრა (ადრეული სტადია, უკიდურესად მაღალი) გარკვეულ პირთა ჯგუფისათვის ავტომატური შეტყობინებების გასაგზავნად; (iv) სამოქმედო გეგმა ვიზრაციის უკიდურესად მაღალი დონის შემთხვევაში; და (v) ვიზრაციის მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ანგარიში.	მშენებლობის ფაზა	მშენებლობის ფაზა
2.7	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე იმ შენობის გაუმაგრებელი მორყეული ნაწილების (ცალკეული ნაწილები) მოხსნა, რომელიც ექვემდებარება ვიზრაციის ზემოქმედების კვლევას	მშენებლობის დაწყებამდე	2017 წლის იანვარი და შემდგომ
2.8	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მიშენებების შესაბამისად გამაგრება.	მშენებლობის დაწყებამდე	მშენებლობის დაწყებამდე
3	აქტივობები მოწყვლად ჯგუფებზე ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში	განსაზღვრული თარიღი	
3.1	კომუნიკაციის ეროვნული კონსულტანტის დაქირავება.	მაისი 2017 (დასრულებული)	დასრულებული

3.2	მოწყვლად პირებთან და ჯგუფებთან კონსულტაციების ჩატარებისათვის მეთოდოლოგიის მომზადება.	მაისი 2017	დასრულებული
3.3	მოწყვლად ჯგუფებთან და პირებთან სამიზნე კონსულტაციების ჩატარება ზემოქმედების შეფასების მიზნით (i) მშენებლობის ფაზის დროს და (ii) ექსპლუატაციის ფაზის დროს.	ივნისი 2017	დასრულებული
3.4	ანგარიშის პროექტის დასკვნების უნდა იქნას განხილული ADB-ის და MDF-ის მიერ და შესაფასებლად უნდა მიეწოდოს CRP-ს	ივლისი 2017	დეკემბერი 2017
3.5	ანგარიშის დასკვნები და შეთავაზებული ღონისძიებები უნდა იქნას ნათარგმნი ადგილობრივ ენაზე და მიწოდებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის.	ივლისი-აგვისტო, 2017	დასრულდა და განთავსებულია ADB-სა და MDF-ის ვებგვერდებზე. მატერიალური სახით მიწოდებულია მოსახლეობისთვის (იხილეთ დანართი 6)
3.6	განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების (მათ შორის სოციალური დახმარების პროგრამა მხედველობადაქვეითებულებისთვის, მშენებლობის პერიოდში) და შემდგომ მოწყვლადი პირების დაცვის ინტეგრირებული მიდგომის იმპლემენტაცია (i) მშენებლობის და (ii) ექსპლუატაციის პერიოდში	მშენებლობის და ოპერირების ფაზები	მშენებლობის და ოპერირების ფაზები
4	აქტივობა წყალსა და მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში	განსაზღვრული თარიღი	სტატუსი
4.1	მდინარის ეკოლოგიაზე ზემოქმედება: პირველადი კვლევის ჩატარება, ეკოლოგიური სკრინინგისა და ზემოქმედების შეფასების კვლევის ჩატარება პროექტის მშენებლობისა და ოპერირების ზემოქმედების დასადგენად მდინარეზე, განსაკუთრებით თევზების უნიკალურ ჯიშებზე.	აპრილი 2017	დასრულებული
4.2	ანგარიშის პროექტის შეფასება ADB-სა და MDF-ის მიერ და შეფასებისათვის CRP-თვის მიწოდება.	ივნისი 2017	დასრულებული
4.3	ანგარიშის მოკლე შინაარსის თარგმნა ადგილობრივ ენაზე, გავრცელება და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა		დასრულდა და განთავსებულია ADB-სა და MDF-ის ვებგვერდებზე. მატერიალური სახით მიწოდებულია მოსახლეობისთვის (იხილეთ დანართი 6)
4.4	გარემოსდაცვითი მართვის განახლებული გეგმის (EMP) საფუძველზე შემარბილებელი ღონისძიებების გატარება,	მშენებლობის და ოპერირების ფაზები	მშენებლობის და ოპერირების ფაზები

	რომელიც მოიცავს კონკრეტულ EMP-ს მდინარის ეკოსისტემაზე ზემოქმედების შესახებ და დამატებით შემამსუბუქებელ ღონისძიებებს მდინარის ეკოლოგიური ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით.		
4.5	წვიმის წყლის დრენაჟის სისტემის დიზაინის გადასინჯვა, მდინარის წყლის დასაცავად, საგზაო შემთხვევების დროს. საგანგებო გეგმები მომზადდება, როგორც საიტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ნაწილი. წვიმის წყლის შემცველი აუზის მოცულობა უნდა მოიცავდეს სატვირთო მანქანის ერთი სრული ავზის მოცულობას.	აგვისტო 2017	დასრულებული
5	აქტივობა კონსულტაციების კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში	განსაზღვრული თარიღი	სტატუსი
5.1	კომუნიკაციების სპეციალისტი, პროექტის გუნდის ხელმძღვანელობით ამზადებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან დამატებითი, მნიშვნელოვანი და გამიზნული კონსულტაციების ჩატარების მეთოდოლოგიას (აღნიშნული აქტივობა ხორციელდება 3.2 აქტივობის პარალელურად).	2017 წლის მაისიდან	დასრულებული
5.2	კონსულტაციების გამართვა 1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებში მითითებული ღონისძიებების შესაბამისად.	ივნისი 2017 (შემდეგ უწყვეტად)	დასრულებული
5.3	1.3, 2.3, 3.3 და 4.3 აქტივობებისთვის განხორციელებული კონსულტაციების ოქმები უნდა იქნას განხილული ADB-სა და MDF-ის მიერ და მიწოდებული CRP-თვის შენიშვნებისთვის.	ივლისი 2017	მოკლე მიმოხილვა წარმოდგენილია ზემოთ, მთავარ ანგარიშში
5.4	შემდგომი კონსულტაციების დასკვნები უნდა მიეწოდოს CRP-ს.	როგორც ცვლილების ნაწილი	გასაკეთებელია და ჯერ არაა სავალდებულო
6	აქტივობა გარემოსდაცვით კატეგორიზაციის კუთხით არსებული ADB-ის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად CRP-ის დასკვნებთან მიმართებაში	განსაზღვრული თარიღი	სტატუსი
	განისაზღვრება ყველა კვლევის დასრულების შემდეგ		არანაირი ქმედება არაა საჭირო

მონიტორინგის პერიოდში შეხვედრილ პირთა სია

მეორე ყოველწლიური მონიტორინგის მიის შესრულებისას შესაბამისობის ანალიზის პანელი (CRP) შეხვდა შემდეგ პირებს, როგორც აზიის განვითარების ბანკში, ასევე მის გარეთ. აღნიშნული ჩამონათვალია შესაძლოა არ იყო სრულყოფილი და არ მოიცავდეს იმ პირებს, რომელთაც ისურვეს თავიანთი ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვა.

ADB-ის თანამშრომლები

1. ჯესპერ პეტერსენი, მრჩეველი და უსაფრთხოებისა და გენდერის განყოფილების უფროსი (PSG-CWOD), ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი (CWRD)
2. ნიკოლას დეი კასტელი, ურბანული განვითარების სპეციალისტი (ტრანსპორტი) - პროექტის ოფიცერი, ურბანული განვითარებისა და წყლის განყოფილება [CWUW], CWRD
3. მაიკლ ბოშამპი, სოციალური განვითარების უფროსი სპეციალისტი, PSG-CWOD, CWRD
4. დუნკან ლანგი, გარემოსდაცვითი სპეციალისტი, PSG-CWOD, CWRD
5. იემიმ ელჰან კაიალარი, მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორი, ADB-ის მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში, CWRD

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

1. გიორგი შენგელია, აღმასრულებელი დირექტორი
2. ბექა თორია, ADB-ის პროგრამის მენეჯერი (კონსულტანტი)
3. გუჯა კვანჭილაშვილი, გარემოს დაცვისა და განსახლების განყოფილების უფროსი
4. ქეთევან პაპაშვილი, გარემოსდაცვითი სპეციალისტი

მომჩივანი პირები და პროექტის სხვა დაზარალებული პირები

1. 12 v/გ კორპუსის მომჩივანი პირები და პროექტის სხვა დაზარალებული პირები
2. 16 ა/ბ მომჩივანი პირები და პროექტის სხვა დაზარალებული პირები
3. 28 ა კორპუსის მომჩივანი პირები

NGO-ები

1. მანანა კოჭლაძე, მწვანე ალტერნატივა
2. ირინა სვანიძე, მწვანე ალტერნატივა